გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 2005 წელი.

№267 (5300)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 16 ნოემბერს სამეგრელოს ესტუმრა. პრეზიდენტის თვითმფრინავი სენაკის აეროპორტში დაფრინდა.

იხ. მე-2 გვ.

## ასწავლეთ გრძილობა ჩოჩიევს!



სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში ეუთოს ინიციატივით მიმდინარე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე რუსეთის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი ნოემბრის დამლევს სოჭში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მონაწილეობით, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის ინიციატივით გამოვიდა.

იხ. მე-2 გვ.

## მეზობელი დელეგატებს გვიწუნებს?!

იხ. მე-2 გვ.

### როგორ „შეაშინა“ პატარა თარგამაძემ დიდი რუსეთი



## „ფანჯრიდან რომ გავიხედავთ, თავზე გვესხმება ყავა, მაღონი, ხან კი — ის ოხრობა“...

— სანამდე უნდა იყოს ეს ქვეყანა და აქ მცხოვრები უბრალო ხალხი დაუცველი, უსუსური, უპატრონო? — კითხულობენ ისინი და მეც, დაბნეული, თვალს ვარიდებ, თითქოს მთავარი დამნაშავე ყველაფერში მე ვიყო!

იხ. მე-6 გვ.



საითაც გავიქეცი...

## უწყება, რომელიც თავის ფუნქციას ივიწყებს

იხ. მე-2 გვ.



## ჰარმონიზაციისა და ოპტიმიზაციის გზაჯვარედინზე

იხ. მე-3-4 გვ.

## ინფორმაცია

### მიიღებს პუტინი მიწვევას?

მიხეილ სააკაშვილი 15 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ტელეფონით ესაუბრა და ის საქართველოში მოიწვია. სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, რომ მიხეილ სააკაშვილმა აუცილებელ პირობად მიიჩნია ვლადიმირ პუტინის თბილისში ჩამოსვლა. ეს ხელს შეუწყობს იმის დადასტურებას, რომ საქართველო რუსეთის მეგობარი ქვეყანაა, რაშიც პუტინი პირადად უნდა დარწმუნდეს, — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია.

პრეზიდენტებმა სატელეფონო საუბრისას საქართველოდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის საკითხიც განიხილეს. მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმირ პუტინს განუცხადა, რომ ქართული მხარე მზადაა ჩარჩო-ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა დადო პირობა, რომ ეს ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებას დააჩქარებს.

### ბენდუქიძე თეატრებსაც გადასწვდა

სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე საქართველოში თეატრების მუშაობის წესის შეცვლას ითხოვს. იგი აცხადებს, რომ ამჟამად ის წესი, რომლის მიხედვითაც თეატრები ფუნქციონირებენ, ქვეყანაში 30-იან წლებში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაინერგა და მისი შეცვლა აუცილებელია. მისი თქმით, მსოფლიოში მსგავსი წესით მხოლოდ ორი თეატრი მუშაობს. საქართველოში ყველა თეატრი ე. წ. რეპერტუარულია, რომლებიც მიბმულია დასს და იქ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ერთი და იგივე დასი დგამს სპექტაკლებს.

### ნეტავ ვისას ჩუქნიან?

ყარაჩაი-ჩერქეზეთის დელეგაცია რესპუბლიკის სახალხო კრების დეპუტატის უალი ევგამუკოვის ხელმძღვანელობით აფხაზეთში ჩავიდა. დელეგაციამ მოინახულა ის სანატორიუმი, რომელიც აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკას ბავშვების დასასვენებლად გადასცა. დელეგაციის წევრებმა უნდა ჩაატარონ შენობის ტექნიკური ექსპერტიზა და უნდა განსაზღვრონ ობიექტების იურიდიული სტატუსი. ყარაჩაი-ჩერქეზეთისთვის სანატორიუმის გადაცემის შესახებ სერგეი ბაღაფშმა გადაწყვეტილება ამ რესპუბლიკაში ვიზიტის დროს მიიღო.

### ზურაბიშვილის შენიშვნები

საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები და წინადადებები პარლამენტის კანცელარიაში პირადად შეიტანა. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტში სისხლის სამართლის კოდექსთან დაკავშირებით დებატები დაიწყო, მისი მოძრაობის იურისტებმა კოდექსში შესატან სავარაუდო ცვლილებებზე სერიოზულად იმუშავეს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინეს.

ინტერპრესნიუსი

## პანორამა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მოითხოვს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა უფრო სერიოზულად მოეკიდოს საქმეს ექვსმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდის დროს. „დროა, რომ ჩრდილოეთ კორეამ გააკეთოს ის, რაც აქამდე უნდა გაეკეთებინა, კერძოდ კი, სერიოზულად მოეკიდოს განიარაღების და შემოწმების საკითხებს“, — განაცხადა კონდოლიზა რაისმა სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში, სადაც დასრულდა აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმი.



* * *

ჯორჯ ბუში და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს შეხვდებიან სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში. ამ შეხვედრის გამართვის წინ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა სამხრთ კორეის ამ ქალაქში განიხილეს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები. პუსანში 18-19 ნოემბერს გაიმართება აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტი.



## გუშინ

თბილისში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა საქართველოსა და იორდანიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:2

## დედაქალაქის არქიტექტურა განუკითხაობის მორევში

იხ. მე-8 გვ.

### არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (VIA) ნაციონალურ სექციას – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კოლეგიას

## ახალშობილ გოგონას გული ხელში ეჭირა

იხ. მე-8 გვ.

## საქართველო 1937 წელს უბრუნდება?

РОССИЯ ВЕСТИ

ია ბერსენაძე,
რტრ „როსია“, „ვესტი“, 16 ნოემბერი.

**საქართველოს სისხლისსამართლებრივ საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თუ ეს ცვლილებები ძალაში შევა, მაშინ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა შესაძლებელი იქნება ანონიმური სატელეფონო ზარითაც კი. ამ სიახლის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში გამეფდება პოლიციური რეჟიმი.**

ამ დღეებში საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები განიხილავენ ერთ თემას: როგორი რეაგირება უნდა მოახდინონ საგამოძიებო ორგანოებმა ანონიმურ წერილებსა თუ ზარებზე? ამ დებატებს საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტისთვის შეთავაზებული ცვლილებები, რომლებიც უნდა შეიტანონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ცვლილებების თანახმად, პროკურორს ეძლევა იმის უფლება, რომ ანონიმური ინფორმაციის საფუძველზე დანიშნოს წინასწარი გამოძიება, რაც წინათ აკრძალული იყო. გამომძიებელს ევალებოდა შეემოწმებინა მიღებული მონაცემების სისწორე, მაგრამ დასაკითხად მოწმის გამოძახების უფლება არ ჰქონდა. შესწორების ინიციატორები, თავის მხრივ, ამაში ვერაფერს ცუდს ვერ ხედავენ.

„წინათ ნებისმიერი ანონიმური სატელეფონო ზარის თაობაზე უნდა განხორციელებულიყო გარკვეული გამოძიება. ეს ყოველთვის ფორმალობა იყო. ახლა კი პირდაპირ ვაცხადებთ, რომ გამომძიებელი თვითონ გადაწყვეტს, აქვს თუ არა რეალური საფუძველი იმისთვის, რომ საერთოდ დაიწყოს რაღაც მოქმედება“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ ფრაქციისგან გიგა ბოკერიამ.

ოპოზიციას მიაჩნია, რომ ეს ახალი კანონპროექტი ქვეყანას დააბრუნებს 1937 წელში. ასე შეაფასა მთავრობის ინიციატივა საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმაც. „ასეთი პროექტი ეწინააღმდეგება ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტებს. ეს ყოფილ საბჭოთა სისტემაში დაბრუნებაა“, — დარწმუნებულია იგი.

წარსულისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებენ შესწორებებს იურისტებიც. „ეს ლახავს მოქალაქის უფლებებს, რადგან ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება გამოიძახოს პროკურატურის გამომძიებელმა და იგი იძულებული იქნება მისცეს მოწმის ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ერთი სიტყვით, ეს ძალზე მდარე ხარისხის შესწორებაა“, — მიაჩნია ადვოკატ არჩილ კბილაშვილს.

საზოგადოებრიობის რისხვა გამოიწვია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიმართვამაც, რომელიც მან პარლამენტის ტრიბუნიდან წარმოთქვა. „მოვუწოდებ პოლიციას. თუ ხედავთ, რომ არსებობს პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის თუნდაც უმცირესი საფრთხე, ადგილზევე მოახდინეთ დამნაშავის ლიკვიდაცია“, — განაცხადა მერაბიშვილმა.

მინისტრის სიტყვები მოქმედებისთვის სიგნალად აღიქვეს. უკვე მეორე დღესვე პოლიციელებმა მოკლეს 19 წლის ახალგაზრდა. პატრული მას თავზე დაადგა გაძარცვულ ბინაში, და, სამართლის დამცველებს მოეჩვენათ, რომ ახალგაზრდა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა.

## ვაშინგტონი სალომე ზურაბიშვილის გადაბირებას ცდილობს

იხ. მე-7 გვ.



პრესკონფერენცია

# მეზობელი დელეგატებს გვიწუნებს?!

## როგორ „შეაშინა" პატარა თარგამაძემ დიდი რუსეთი

**პარლამენტის თავმჯდომარე თითქმის ყოველთვის ახერხებს მოვლენების გაკონტროლებას, მაგრამ გუშინ აღშფოთებას ვერ მალავდა. ამის მიზეზი რუსეთის საელჩოს, რბილად რომ ვთქვათ, არადიპლომატიური ნაბიჯი იყო. საქართველოს დელეგაცია დსთ-ს წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეთა სამიტზე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ერთ-ერთმა წევრმა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ვიზა ვერ მიიღო. დელეგაცია პროტესტის ნიშნად თბილისში დარჩა. ნინო ბურჯანაძემ ამ, მისივე თქმით, უპრეცედენტო შემთხვევის გამო პრესკონფერენცია გამართა.**

— როგორც ჩანს, გივი თარგამაძე რუსეთისთვის მიუღებელი პერსონაა, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, — მაგრამ ხაზგასასმელია ერთი გარემოება — ჩვენ დსთ-ს სამიტზე მივდიოდით. რუსეთს უფლება არ ჰქონდა ხელი შეეშალა ჩვენთვის მონაწილეობა მიგვეღო საერთაშორისო ორგანიზაციის სამიტის მუშაობაში, თუკი დსთ ჯერ კიდევ ითვლება ასეთ ორგანიზაციად. ხოლო თუ დსთ და რუსეთი ერთი და იგივეა, ამის შესახებ ინფორმირებულები უნდა ვყოფილიყავით.

ნინო ბურჯანაძის თქმით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას სურდა კიდევ ერთხელ ესაუბრა კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე, იმ სამშვიდობო გეგმაზე, რომლის მიხედვითაც უნდა მოგვარდეს კონფლიქტი ე. წ. სამხრეთ ოსეთთან. ამავე დროს, თანამეგობრობის ქვეყნებისთვის უნდა ეჩვენებინათ, რა როლს ასრულებს რუსეთი ამ საქმეში. ბურჯანაძის თქმით, შესაძლოა, რუსეთს სწორედ ამის შეეშინდა.

კოტე გაბაშვილმა რუსეთის ქმედებაში სხვა შიშის ანარეკლი დაინახა — ეტყობა, იქ დემოკრატიას ძალიან უჭირს, თარგამაძე კი ამ საქმის ცნობილი ექსპერტია და ამიტომაც შეეშინდათო. ეს ხუმრობით. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სპიკერს დაეთანხმა იმაში, რომ **რუსეთის საელჩოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლების ზედა ეშელონებიდან არის ნაკარნახევი, სერიოზული შეცდომაა და ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფა.**

პრესკონფერენციაზე რამდენჯერმე გაიჟღერა „შავმა სიამ", რომელშიც რუსეთის ხელისუფლებას გივი თარგამაძესთან ერთად რამდენიმე ქართველი პოლიტიკოსი ჰყავს შეყვანილი. თარგამაძის არაოფიციალური ინფორმაციით, არასასურველ პირთა სიაში იგი თავისი გამონათქვამების გამო მოხვდა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, რუსეთის მისამართით თქმული მისი არც ერთი სიტყვა არ ყოფილა შეურაცხმყოფელი, თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენი დიდი მეზობელი სხვაგვარად ფიქრობს. ერთი რამ კი ცხადია, როგორი ანტიპათიითაც უნდა იყო განწყობილი ამა



თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ, უფლება არ გაქვს, მის გამო ქვეყნისადმი უპატივცემულობა გამოიჩინო და ოფიციალური დელეგაციის წევრს ვიზა არ მისცე. მართალია, **საბოლოოდ, საელჩომ გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო — იმ თვითმფრინავის აფრენამდე, რომელშიც ნინო ბურჯანაძე, გივი თარგამაძე და სხვები უნდა მსხდარიყვნენ, რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. ბოლო წამს გამოთქმული თანხმობა პარლამენტის თავმჯდომარემ ცინიზმის გამოვლენად მიიჩნია.**

ნინო ბურჯანაძის ტონი მკაცრი იყო, ახსნა-განმარტების მოთხოვნაც, შესაბამისად, — კატეგორიული. მისი თქმით, თუ რუსეთი ამ ნაბიჯს დამკვიდრებულად არ აქცევს და მსგავს ქმედებებს გააგრძელებს, ქართული მხარე შეიძლება თავის „შავ სიას" და იქ ბევრი რუსი პოლიტიკოსის გვარს შეიტანს.

— შეიძლება, რუსეთის ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა ეს დიდად არც განიცადოს. ისინი, ძირითადად, აფხაზეთში და სამაჩაბლოში დადიან, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლების ნებართვა არ სჭირდებათ. **მაგრამ გარწმუნებთ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება,** — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. მან ეროვნულ სიამაყეზეც ისაუბრა, რის გამოც ჩვენი ხელისუფლება რუსეთს უფლებას ვერ მისცემს, მოგვექცეს, როგორც თავის გუბერნიას.

**ჯერჯერობით, რუსეთს მიზეზი არ დაუსახელებია. ქართული მხარე ოფიციალურ ახსნა-განმარტებას ელოდება. მანამდე კი ნინო ბურჯანაძემ სამიტში მონაწილე კოლეგებს მოუწოდა, დაგმონ რუსეთის საელჩოს გადაწყვეტილება.**

**რუსუდან გახარია**

პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში



(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 16 ნოემბერს ხობში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის ოფისი საზეიმო ვითარებაში გახსნა. გუშინვე მან ხობში საჭიდაო მოედნისა და სკვერის გახსნის ცერემონიაშიც მიიღო მონაწილეობა. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ხობში უფასო სასადილოები და სპორტული დარბაზები უნდა გაიხსნას.

მიხეილ სააკაშვილმა გუშინვე სენაკი-ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 87-კილომეტრიანი გზა გახსნა.

**„ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ამ გზამ ჩვენ ყველა აფხაზეთში ჩაგვიყვანოს. მე დარწმუნებული ვარ ამაში, რომ ეს შესრულდება",** - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

ახალ გზაზე გუშინ ავტორალიც გაიმართა, რომლის დაწყებასაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უხელმძღვანელა.

**„ბედნიერი ვარ დღეს იმით, რომ ჩემი სიტყვა შევასრულე. ორი წლის წინათ ვარდების რევოლუცია სწორედ წალენჯიხიდან დაიწყო და მაშინ შეგპირდით, რომ აქ რევოლუციის მეორე წლისთავზე ახალი გზით ჩამოვიდოდი და ეს სიტყვა შევასრულე",** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტი სამეგრელოს მოსახლეობას დაპირდა, რომ გზების მშენებლობა კვლავაც გაგრძელდება, ასევე გაგრძელდება ახალი სკოლების მშენებლობა და რემონტი. **„მთავარი არის გზები, ელექტროენერგია და განათლება. მე გპირდებით, რომ ამ სამივე პირობას აუცილებლად შეგისრულებთ",** — განაცხადა პრეზიდენტმა.

**ინტერპრესნიუსი**

სიტუაცია

# ასწავლეთ ზრდილობა ჩოჩიევს!

(პირველი გვერდიდან)

ტელეკომპანია „იმედის" ინფორმაციით, რუსეთის ელჩის ინიციატივასთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას საქართველოს ხელისუფლების პოზიციის დაფიქსირების საშუალება არ მისცა, მან ხაინდრავას სიტყვა რამდენჯერმე გააწყვეტინა, პირად შეურაცხყოფასაც არ მოერიდა, ხაინდრავა ბრეჟნევს შეადარა და ქართველი ჟურნალისტების მიერ სხდომის დატოვება კატეგორიულად მოითხოვა.

ჩოჩიევის მოქმედების გამო სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ სხდომა დატოვა.

ხაინდრავას განცხადებით, შერეულ საკონტროლო კომისიაში ოსური მხარის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა მას სხდომაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების გეგმის წარდგენის საშუალება არ მისცა.

სხდომა საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავასთან ერთად ეუთოს წარმომადგენლებმაც დატოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

* * *

ლიუბლიანაში მიმდინარე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი რუპელმა განაცხადა, რომ უპირველესი ამოცანა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციაა. მან მხარეებს მოუწოდა, ეფექტიან სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ, რომელიც სწრაფად და სრულყოფილად განხორციელდება. მისი თქმით, ასევე უნდა შესრულდეს დემილიტარიზაციის შესახებ შეთანხმება.

იგი გამოდის ინიციატივით, რომ ქართულმა და ოსურმა მხარეებმა შექმნან ერთობლივი პოლიციის სპეციალური საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ცხინვალში იმუშავებს.

**მედიანიუსი**

ინფორმაცია

## აფხაზები აქამდე უარზე იყვნენ. ახლა რას იტყვიან?

**აფხაზი** სეპარატისტების ე.წ. პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ანქვაბი ეროვნული უმცირესობის საკითხებში ეუთოს კომისარს რალფ ეკუსს შეხვდა. მათ გალის რაიონში



ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები განიხილეს. ქართული მხარე დაჟინებით ითხოვს გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნას და იქ გაეროს სამოქალაქო პოლიციის განთავსებას. ამისი აუცილებლობა ბოლო დროს გალის რაიონში ვითარების დაძაბვის შემდეგ უფრო გამოიკვეთა.

გაეროს მისიის წარმომადგენლობამ რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გალის რაიონში ვითარების გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იქ გაეროს და ეუთოს ადამიანთა უფლებების ოფისის გახსნისა და გაეროს პოლიციის ოფიცრების განლაგების აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოთხოვნა რამდენიმე თვის წინათ გაეროს უმაღლეს დონეზეც გაისმა, კერძოდ, თავად გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა აფხაზურ მხარეს გალში გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის გახსნა მოთხოვა. ჯერჯერობით ასეთი ოფისი, მხოლოდ სოხუმში ფუნქციონირებს.

აფხაზური მხარე დღემდე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ საკითხის მოგვარებას.

## ელოდებიან პრეზიდენტის რეაგირებას

**„ქუთაისის** საავიაციო ქარხანაში" სკანდალი მზადდება. სს „ქუთაისის საავიაციო ქარხნის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა თორნიკე ჟიჟიაიამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მამას ანზორ ბურჯანაძესა და თავად პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ქარხნის დემონტაჟში დასდო ბრალი. მისი თქმით, ანზორ ბურჯანაძე ქარხნის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრისა და პურის ქარხნის გახსნას აპირებს.

„ნინო ბურჯანაძის მიერ დანიშნულმა საწარმოს დირექტორმა ირაკლი კოხრეიძემ ქარხნიდან, როგორც სტრატეგიული დანიშნულების ობიექტიდან, უკრაინაში კონტრაბანდული გზით უნიკალური დანადგარები გაიტანა. მასზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ სამშობლოს ღალატის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ ნინო ბურჯანაძის სატელეფონო ზარის შემდეგ საქმე შეწყდა", — განაცხადა თორნიკე ჟიჟიაიამ.

ქარხნის კოლექტივმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქუთაისში ყოფნის დროს აღნიშნულ საკითხებზე წერილი გადასცა. პრეზიდენტმა ეკონომიკის მინისტრს საქმეში გარკვევა მოსთხოვა. ქარხნის კოლექტივი პრეზიდენტის რეაგირებას ელოდება. თორნიკე ჟიჟიაიას განცხადებით, თუ მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს საწარმოს 300-მდე თანამშრომელს, ისინი საპროტესტო აქციებს დაიწყებენ.

## ცვლილებები მნიშვნელოვან დოკუმენტში

**ქართველი** გადამზიდავები სომხეთში საგზაო გადასახადს აღარ გადაიხდიან. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა სომხეთსა და საქართველოს შორის საავტომობილო მიმოსვლის შესახებ სარატიფიკაციო შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის საკითხი. ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ზაზა ჭელიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული შეთანხმება საქართველოსა და სომხეთს შორის 1997 წელს გაფორმდა. ამჟამად მიღწეულია შეთანხმება, აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

## ერთი დღე უწყლოდ იქნებიან

**თბილისის** მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყლის მიწოდება დღეს ერთი დღის შეუწყდება.

ჯვარი-ზაჰესის წყალსატარი გვირაბის ტექნიკური დათვალიერების გამო, დღეს 11 საათიდან 24 საათამდე წყლის მიწოდება შეუწყდება ავჭალის, კონიაკის და გლდანულას დასახლებებს, გლდანის მასივის მე-3, მე-3ა, მე-6, 7, 8 მიკრორაიონებს და მე-5 მიკრორაიონის ნაწილს, თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონის მე-4 კვარტალს, მუხიანში კი „ლეგიონის" დასახლებას.

## იქნება მწერლის მუზეუმი

**დედაქალაქის** საკრებულოს წევრი კახა ძაგანია, მწერლები ირაკლი კაკაბაძე და ზურაბ რთველიაშვილი გუშინ შიო მღვიმელის ქალიშვილს ქეთევან ქუჩუკაშვილს შეხვდნენ.

„საკრებულოს პირველივე სხდომაზე განხილული იქნება შიო მღვიმელის მუზეუმის ან სახლ-მუზეუმის შექმნის საკითხი, რათა მისი ხელნაწერები, ფოტოსურათები და ბიბლიოთეკა გადარჩეს, ასევე ვიმსჯელებთ მისი შვილის უმძიმესი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე", — განაცხადა კახა ძაგანიამ. მისი თქმით, საკრებულო იმსჯელებს იმ საკითხზე, თუ რა ფორმით იქნება დაცული და შენახული ნივთები.

**ინტერპრესნიუსი**

მთავრობა

# საქართველო სერვისის ქვეყნად გადაიქცევა



**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 34 საკითხზე იმსჯელა. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მინისტრთა კაბინეტის წევრებს სიხარულით აცნობა, რომ შიდა ქართლში წარმატებით აბარებენ ვაშლს, დაახლოებით 70 ათასმა ადამიანმა ჩააბარა მოსავალი და ყოველი მეხუთე ცხინვალის რეგიონიდან არის. პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ „ცხინვალის რეგიონში ხალხის დონეზე კონფლიქტი ფაქტობრივად მოგვარებულია".**

აგარაში თურმე ათი ათას ტონამდე ვაშლი ჩაუბარებიათ, გორში კი — ოთხი საწარმო იბარებს ხილს.

ამის შემდეგ სხდომამ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილა. ქვეყანაში პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ ილაპარაკა ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ. სხდომის დასრულების შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრივატიზაციის პროცესიდან ბიუჯეტში 300 მილიონ ლარზე მეტი შევიდა. ეკონომიკის მინისტრის თქმით, გაისად ორი ობიექტის პრივატიზაცია იგეგმება. ეს არის ყოფილი „ელექტროკავშირი" და ენერგეტიკის დარგი. სამინისტროს საპრივატიზაციო პროცესის მომზადებაში იურიდიული და ფინანსური მრჩევლები დაეხმარებიან. მინისტრი იმედოვნებს, რომ რაც შეიძლება მეტ ინვესტორს დააინტერესებენ.

ირაკლი ჩოგოვაძე ჟურნალისტებს „საიმპორტო ტარიფების ლიბერალიზაციის პროექტზეც" ელაპარაკა. „მიზნად დავისახეთ, საქართველო გახდეს სავაჭრო პლატფორმა, როგორც შავი ზღვის აუზის, ისე კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებისთვის. ჩვენ კომპლექსურად განვიხილავთ საბაჟო პროცედურების და საბაჟო ტარიფების გამარტივებას".

მინისტრის თქმით, საქართველოში არსებული 16 სხვადასხვა საბაჟო განაკვეთი მაქსიმალურად უნდა შემცირდეს. წლის ბოლომდე ცვლილებები განხორციელდება და, სავარაუდოდ, 16 განაკვეთი სამამდე შემცირდება.

„ეს ციფრი რაც უფრო მცირე იქნება, საქართველო, ექსპორტ-იმპორტის ბიზნესის თვალსაზრით, პოტენციური ინვესტორებისთვის მით უფრო მიმზიდველი გახდება. მომავალში საქართველო უფრო სერვისის ქვეყნად გადაიქცევა, რომლის შემადგენელი ნაწილია მაქსიმალურად ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი დაბალი განაკვეთებით".

სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ბრიფინგზე ჟურნალისტებს აცნობა, რომ „საქართველოს მთავრობის საშუალოვადიან (2006-2009 წლებისათვის) სამოქმედო სტრატეგიაზე" მთავრობის შემდეგ სხდომაზე იმსჯელებენ. მისი თქმით, ძირითადი სამთავრობო პრიორიტეტები ისე შეირჩევა, რომ შეხამებული იყოს საშუალოვადიან ფინანსურ დაგეგმვასთან.

რაც შეეხება ბათუმის ცირკის შენობისა და მასზე გაპიროვნებული მიწის ფართის პრივატიზაციის პროცესს, კახა ბენდუქიძის თქმით, კონკურსის პირობებში არასწორად იყო ჩადებული ამ ობიექტზე მომავალში მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციის მაინცდამაინც აჭარაში რეგისტრირება. ამაზე მიეთითა ეკონომიკის სამინისტროს და ეს პირობა ალბათ შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის მინისტრი დაეთანხმა კახა ბენდუქიძის შენიშვნას.

მთავრობის სხდომამ იმსჯელა, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტზე „საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის შესახებ"; აგრეთვე, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ...

**თამარ შაიშმელაშვილი**

ერიჰა!

# წინ, ტოტალიტარიზმისკენ?

**„მწვანეთა პარტია" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს კონსტიტუციის ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს.** პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, განათლების სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლებს მითითებას აძლევს, სტუდენტებს სპეციალური ანკეტა შეავსებინონ. გაჩეჩილაძის თქმით, ამ ანკეტის თანახმად, სტუდენტს მოეთხოვება ისეთი ინფორმაციების დაფიქსირება, რომელთა გამჟღავნების მოთხოვნის უფლება, მოქალაქის თანხმობის გარეშე, არც ერთ უწყებას არა აქვს.

**— ანკეტის მიხედვით, სტუდენტს მოეთხოვება ინფორმაციის დაფიქსირება საკუთარი წონის, სიმაღლის, სისხლის ჯგუფის, საბანკო ანგარიშის ფლობის, საგადასახადო ინსპექციაში და სადაზღვევო კომპანიაში რეგისტრაციის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, ე-მაილ-ის მისამართის, მობილური ტელეფონის ნომრის, პირადობის მოწმობაში მითითებული და რეალური საცხოვრებელი მისამართის დაფიქსირება და ა.შ. ანკეტა მთლიანობაში ორ გვერდს მოიცავს და შევსების შემდეგ მას სტუდენტმა, ფაკულტეტის დეკანმა და უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა უნდა მოაწერონ ხელი,** — განაცხადა გაჩეჩილაძემ. მისივე თქმით, თავის დროზე, კომუნისტები ყველა პირზე ადგენდნენ ე.წ. დოსიეს და აღნიშნული ანკეტებიც სწორედ ამგვარ ტენდენციაზე მიუთითებს.

**„საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის 41-ე მუხლის თანახმად, ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან, ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი აღნიშნული პირის თანხმობის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმა წვრილი შრიფტით, ანკეტაზეა მიწერილი, რეალურად, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას დავალებული აქვს სტუდენტებს ანკეტის შევსება აიძულონ",** — განმარტავს გაჩეჩილაძე. მისი მოსაზრებით, მიმდინარეობს სტუდენტების აღრიცხვა და ანკეტა არც ერთმა სტუდენტმა არ უნდა შეავსოს. პარტიაში მიიჩნევენ, რომ **„ეს არის უშიშროების დავალება და მისი მიზანია სასწავლებლების კონტროლის ქვეშ მოქცევა".** „ამჟამად პარტია ცდილობს მოიპოვოს იმ ბრძანების ტექსტი, რომლის საფუძველზეც სასწავლებლებში ამგვარი ანკეტების შეტანა გადაწყდა. თუკი ასეთი ბრძანება არსებობს, მაშინ განათლების მინისტრმა არა მარტო თანამდებობა, არამედ ჩვენი ქვეყანაც უნდა დატოვოს", — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

კონფლიქტის ზონა

# გუშინ ყველა მშვიდობაზე ლაპარაკობდა

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გუშინ ცხინვალელების ძვირფასი სტუმარი იყო. სწორედ ასე მოიხსენიებენ მას სამხრეთ ოსეთში იმ კეთილშობილური ჟესტის გამო, რაც მან ცხინვალელი კოლეგებისთვის, მთლიანად რეგიონის მოსახლეობისთვის გააკეთა. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ბატონმა ფრიდონმა ამ რამდენიმე ხნის წინათ ცხინვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოს უსასყიდლოდ გადასცა უნიკალური სამედიცინო აპარატურა — კომპიუტერული ტომოგრაფი.**



გუშინ ცხინვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ამ აპარატურის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ამასთან, ბატონმა ფრიდონ თოდუამ დაბადების 80 წელი მიულოცა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წერილი და მილოცვა გადასცა ცნობილ ოს მეცნიერსა და მწერალს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნაფი ჯუსოითს, მოიწვია იგი თბილისში. შეხვედრას ესწრებოდა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. ვრცლად ამ ღონისძიების შესახებ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგითხრობთ.

ომბუდსმენი

# უწყება, რომელიც თავის ფუნქციას ივიწყებს

**რევოლუციის შემდეგ ვარდებს მოყოლილმა ხელისუფლებამ თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი პირები თანამდებობიდან გაათავისუფლა, იმ თანამდებობებზე მისთვის მისაღები კადრები დაინიშნა. გამონაკლისს არც სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენდა, ომბუდსმენის პოსტი სოზარ სუბარმა დაიკავა, მანაც, სხვათა მსგავსად, საკადრო წმენდა დაიწყო და პროფესიონალი კადრები გამოუცდელი ახალგაზრდებით ჩაანაცვლა.**

უსამსახუროდ დარჩენილი რამდენიმე თანამშრომელი ბედს არ შეეგუა და თავისი უფლებების დასაცავად, სიმართლის დასადგენად სასამართლოს მიმართა. ამბიციურ ახალგაზრდებთან ბრძოლას რამდენიმე მათგანმა ჯანმრთელობაც კი შესწირა. ოთხი შვილის დედა მარიკა ბაღდავაძე ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა, სასამართლომ იგი სამსახურში აღადგინა, თუმცა აპარატში მისული მეორე დღეს ისევ გაათავისუფლეს, მიზეზად სამსახურში გამოუცხადებლობა დაუსახელეს.

გუშინ კი თბილისის საქალაქო ადმინისტრაციულ სასამართლოში პროცესი კიდევ ერთმა თანამშრომელმა — ცირა თელოიანმა მოიგო.

ქალბატონი ცირა სახალხო დამცველის აპარატში რვა წელი მოღვაწეობდა, იგი მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის, მოქალაქეთა მომართვების განხილვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი იყო. თანამდებობიდან 2004 წლის 3 ნოემბერს გაათავისუფლეს, საფუძვლად არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები და ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობა დაუსახელეს. თუმცა სასამართლო პროცესზე სუბარის წარმომადგენლებმა ამ ბრალდების დამადასტურებელი ერთი ფაქტიც ვერ მოიყვანეს.

ცხადია, ამას ვერც მოახერხებდნენ, რადგან საზოგადოების, სამართალდამცველების დიდმა ნაწილმა, ვისაც გასულ წლებში შეხება ჰქონია ომბუდსმენის აპარატთან, კარგად იციან თელოიანის პრინციპულობა მუშაობისას, მის მიერ წარმოებული საქმეები კი უდავოდ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მოპასუხე მხარის სუსტმა არგუმენტებმა მოსამართლე ნანა კალანდაძე მრავალგზის გააკვირვა. სუბარის წარმომადგენლის რეზო ჭარბაძის განცხადებით, თელოიანმა არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები რამდენჯერმე შემდეგნაირად გამოავლინა: იგი შედიოდა სუბარის ოთახში, აძლევდა რჩევებს, ჭკუას არიგებდაო, რაც ჭარბაძის აზრით, თურმე სამსახურებრივი პროცესის შეფერხებას იწვევდა, ამგვარი ქმედება კი სახალხო დამცველის შიდა ორგანული კანონით დასჯადია. არ არსებობს მოწმე, ვინც ასეთ ფაქტს დაადასტურებს.

ცირა თელოიანის განცხადებით, ომბუდსმენის აპარატი იბრძოდა იმისთვის, რომ მის წინააღმდეგ პროკურატურას საქმე აღეძრა, თუმცა ამ უწყებამ სისხლის სამართლის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა. გუშინ კი სასამართლომ იგი თანამდებობაზე აღადგინა.

— სახალხო დამცველის აპარატი ცნობილი იყო პროფესიონალი კადრებით, დღეს კი საზოგადოება ხედავს, თუ რა კატეგორია მუშაობს იქ, ეს ჩემთვის ძალიან გულსატკენია, მადლობა ქართულ მართლმსაჯულებას იმისთვის, რომ საშუალება მომეცა, ვემსახურო ჩემს საყვარელ საქმიანობას, რასაც ადამიანის უფლებების დაცვა, მათი თანადგომა ჰქვია, — განაცხადა ცირა თელოიანმა.

მახსოვს, როცა აპარატს ნანა დევდარიანი ხელმძღვანელობდა, თანამშრომლები არაერთ ხმაურიან საქმეზე მუშაობდნენ, მაშინდელი განუკითხაობის პერიოდში არაერთი საქმე დაზარალებულთა სასარგებლოდ დასრულდა. აპარატის თანამშრომელთა ოთახებთან მოქალაქეთა რიგები იდგა, ყველა ინფორმაცია კი ხელმისაწვდომი იყო. სამაგიეროდ, დღეს აპარატში შესვლა, რიგით მოქალაქეზე რომ აღარაფერი ვთქვა, ჟურნალისტსაც უჭირს, დანიშნულების ადგილზე მისაღწევად მთელი ბარიერების გადალახვაა საჭირო. პრობლემაა აპარატის თანამშრომელთან შეხვედრაც, ხშირად ქალაქის ტელეფონზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მობილურსაც არ პასუხობენ, თუ გაგიმართლათ და შეხვედრა დაგითქვა, მიხვალ და შეიძლება ადგილზე არც დაგხვდეს და ა. შ.

**მოკლედ, უწყება, რომელიც ადამიანის უფლებებს უნდა იცავდეს, ხშირად თავის ფუნქციას ივიწყებს, მათი ქმედება იმ ანდაზის შესაბამისია, „ბავშვი რატომ ტირის, გასდის და იმიტომო". მათაც ამგვარი საქციელისთვის პასუხს არავინ სთხოვს, თუმცა გუშინდელმა სასამართლომ აპარატზე შეიძლება გამომაფხიზლებლად იმოქმედოს. ეს კია, ომბუდსმენის წარმომადგენლები სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.**

**ლელა ცქიტიშვილი**

⊙ კანონმდებლობა: ახალი საბაჟო კოდექსი

# ჰარმონიზაციისა და ოპტიმიზაციის გზაჯვარედინზე

**ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტი ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის განხილვას დაიწყებს. ჩვენმა გაზეთმა ცოტა ხნის წინათ დაბეჭდა მცირე მასალა, რომელშიც ზოგადად იყო მიმოხილული ახალი კოდექსის სტრუქტურა, ზოგიერთი სიახლე და ცალკეული ნაკლოვანებები. ამ მასალამ მკითხველთა ერთი ნაწილის ცხოველი ინტერესი გამოიწვია და ეს არც არის გასაკვირი: ახალ საბაჟო კოდექსზე, მის ავ-კარგზე ხომ დიდადაა დამოკიდებული ექსპორტიორ-იმპორტიორთა, ასევე პროდუქციის ტრანზიტად გადამტვირთავთა სამომავლო საქმიანობა. ამიტომ გავითვალისწინეთ მკითხველთა დაინტერესება და გთავაზობთ მასალას „საქართველოს საბაჟო კოდექსის“ კანონპროექტზე და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ დავით ნარმანიამ, რომელმაც მოგვაწოდა „დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა“, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.**

ეჭვი არ არის, რომ საბაჟო კოდექსი ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები და სიმარტივე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სწორ და მიზანმიმართულ პოლიტიკას განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანამ, რომელიც ახალი საბაჟო კოდექსისა და, შესაბამისად, ახალი საბაჟო სისტემის შექმნაზე მუშაობს, სწორი ორიენტირებისთვის რამდენიმე გარემოება უნდა გაითვალისწინოს: **ა) საბაჟო კანონმდებლობა უნდა იყოს მარტივი და შეიცავდეს ერთმნიშვნელოვნად აღსაქმელ დებულებებს; ბ) მოცემული ქვეყნის საბაჟო კოდექსი ჰარმონიზაციაში უნდა იყოს სხვა ქვეყნების (ან ქვეყანათა ჯგუფის, მაგალითად, ევროკავშირის) საბაჟო კანონმდებლობასთან; გ) გაითვალისწინოს: მეზობელი ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობა და რეგიონალური პოლიტიკა; დ) მოსალოდნელი ფისკალური შემოსავალი (ამის გათვლას აკეთებენ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც აქვთ საქართველოს მსგავსი საბაჟო მოდელი და სადაც საბაჟო გადასახდელებს საბაჟო ადმინისტრაცია კრებს); ე) არსებული საგარეო სავაჭრო კავშირები და ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საბაჟო სისტემა; ვ) შიდა ბაზრის დაცვა ან/და, გარკვეულწილად, ღიაობა.**

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ სწორედ ჩამოთვლილი გარემოებების გაუთვალისწინებლობამ, საბაჟო რეჟიმების სიმრავლემ და ზოგიერთ მათგანზე ინსტრუქციული ნაწილის უქონლობამ, საბაჟო კანონმდებლობის არასტაბილურობამ და ხშირმა საკანონმდებლო-ნორმატიულმა ცვლილებებმა, საბაჟო დავების განხილვის ერთიანი სისტემის არარსებობამ, კანონმდებლობის სათანადოდ აღსრულებისთვის საბაჟო ადმინისტრაციის შესაძლებლობების სიმწირემ, საბაჟო საზღვრის გადამკვეთი ფიზიკური და იურიდიული პირების ინფორმირების სრულყოფილი სისტემის უქონლობამ, საბაჟო სისტემაში ხშირმა სტრუქტურულმა და საკადრო ცვლილებებმა, ასევე საქონლის საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას რთულმა პროცედურულმა დებულებებმა, **საქართველოს საბაჟო კოდექსის დეგრადაცია გამოიწვია და დღის წესრიგში დააყენა მისი ახლებურად მოწესრიგების საკითხი.**



აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მომზადდა და შემდგომ პარლამენტში განსახილველად გაიგზავნა „საქართველოს საბაჟო კოდექსის“ პროექტი და მის მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. პარლამენტში ოქტომბრის შუა რიცხვებში წარდგენილი ვერსიით, **მოქმედ საბაჟო კოდექსთან შედარებით, ახალი საგადასახადო კოდექსი მთელი რიგი დადებითი მიმართულებებით ხასიათდება.**

მთავრობის მიერ პარლამენტში ახალ საგადასახადო კოდექსთან ერთად განსახილველად წარდგენილ ცვლილებათა პაკეტის მასალების ანალიზით ირკვევა, რომ საბაჟო კოდექსის პროექტი ჰარმონიზირებულია ევროკავშირის ქვეყნების კონსოლიდირებულ საბაჟო კოდექსთან.

1999 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომლის 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან ეკონომიკურ ურთიერთობათა განმტკიცების ვალდებულება აიღო საბაჟო კანონმდებლობის თანდათან ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან მიახლოების გზით. ამიტომ არის, რომ განსახილველად წარდგენილ საბაჟო კოდექსის პროექტს წითელ ზოლად გასდევს ევროკავშირის კონსოლიდირებული საბაჟო კოდექსის მთელი რიგი პროცედურული დებულებები და საკითხები.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსის ჰარმონიზაცია ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან სულაც არ ნიშნავს უკლებლივ ყველა ნორმის, პროცედურისა და წესის გადმოღებას. **ევროკავშირის კონსოლიდირებული საბაჟო კოდექსი მორგებულია საკუთარი ეკონომიკური სივრცის რეალობას. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის დროს ყველა გარემოება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ისევე, როგორც „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების ზოგიერთი აუცილებელი მოთხოვნაც.** კერძოდ, თუკი საბაჟო კოდექსი ჰარმონიზებული იქნება ევროკავშირის კონსოლიდირებულ საბაჟო კოდექსთან, **ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება სწორედ ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობა უნდა იყოს.** ამიტომ, საბაჟო კოდექსის პროექტში აუცილებლად უნდა იყოს საუბარი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიანიჭონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი შემდეგი მიმართულებებით: ა) იმპორტისა და ექსპორტისთვის გამოყენებული საბაჟო მოსაკრებელი და გადასახდელები, მათი აკრეფის მეთოდის გათვალისწინებით; ბ) დებულებები, რომლებიც ეხება საბაჟო კლირინგს, ტრანზიტს, დასაწყობებასა და გადმოტვირთვას (არადა, განსახილველად წარდგენილ საბაჟო კოდექსის პროექტში მხოლოდ ეს პუნქტია საკმარისად გათვალისწინებული); გ) ნებისმიერი სახეობის ბაჟი და სხვა შიდა გადასახდელები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გამოიყენება იმპორტული საქონლისთვის; დ) ანგარიშსწორების ფორმები და ასეთ ანგარიშსწორებათა ტრანსფერი.

იხ. მე-4 გვ.

⊙ ინფორმაცია

## ოსეთი არის ესე...



**„უმეცრებო, ოსეთი კავკასიის ჩრდილოეთითაა“, „შეწყვიტეთ დამნაშავეებთან ყოველგვარი მოლაპარაკებები“, „მოვითხოვთ კონფლიქტის მხარედ რუსეთის აღიარებას“, „არ გაგაჩუქებინებთ ცხინვალს“, „დაუყოვნებლიც გაუქმდეს რუსეთის მანდატი“ — ამ ლოზუნგებით გუშინ** პარლამენტის შენობის წინ „სახალხო ფრონტის“ ლიდერმა ნოდარ ნათაძემ და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მოითხოვენ ცხინვალის დამნაშავე რეჟიმთან მოლაპარაკებების შეწყვეტას და აპროტესტებენ საქართველოს ხელისუფლების მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროექტში ტერმინის — „სამხრეთ ოსეთი“ არსებობას.

„საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი სამხრეთ ოსეთი არ არსებობს. საქართველოში არ უნდა არსებობდნენ ორჯონიკიძეები. სწორედ ორჯონიკიძის იდეა იყო შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილისათვის სამხრეთ ოსეთის დარქმევა“, — განაცხადა ნათაძემ.

მისივე თქმით, საქართველოს საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ის მზაკვრული გეგმა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას ითვალისწინებს და სამხრეთ ოსეთის ტერმინის დაკანონებას ვარაუდობს.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავმჯდომარის თამარ ჩხეიძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად გატარებული პოლიტიკა „ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივია და იგი რუსეთის ინტერესებს ემსახურება“.

## არა — „ჩადების“ პრაქტიკას

**არასამთავრობო** ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ საქართველოს პარლამენტს საყოველთაო ამნისტიის პროექტზე მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდებს და მიმართვას უგზავნის. მიმართვის თანახმად, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებში წლების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიცია იყო დაკავებულთა წამება, ასევე მათთვის იარაღისა თუ ნარკოტიკების „ჩადება“.

2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდგომ, ასეთი სტილითა და მეთოდებით მუშაობამ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. ამას ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც აღიარებენ, რომელთა განმარტებით, მართალია, 2004 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა როგორც დაკავებულთა წამების, ასევე მათთვის იარაღისა თუ ნარკოტიკების „ჩადების“ მრავალ ფაქტს, მაგრამ ამ მხრივ 2005 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა და მკვეთრად შემცირდა პოლიციელთა მხრიდან ასეთ ქმედებათა რაოდენობა. მიუხედავად ამისა, წინა წლებში ასეთი მეთოდებით დაპატიმრებული ბევრი პირი დღესაც პატიმრობაში იმყოფება.

ინტერპრესნიუსი

## ამიერიდან ლიცენზიები აუქციონზე გაიყიდება

**ხეტყის** დასამზადებლად სპეციალური ლიცენზია ამიერიდან აუქციონის წესით გაიცემა. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა განაცხადა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის წესით მოპოვება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ახალი სისტემის დამკვიდრება მინიმუმამდე დაიყვანს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობებს, გამჭვირვალეს გახდის და გააადვილებს ლიცენზიის გაცემის პროცესს. ასევე, ხელს შეუწყობს ლეგალური ბიზნესის განვითარებას.

ხეტყის დამზადებაზე ლიცენზიის მოსაპოვებლად პირველი აუქციონი გუშინ გაიმართა.

## „ჯეოსელი“ მისი ქალი არ უნდა იყოს...

**ჯერჯერობით** დაუდგენელმა პირმა 15 ნოემბერს კომპანია „ჯეოსელის“ დისტრიბუტორის სარეალიზაციო ქსელი გაძარცვა. კომპანია „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ირმა ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ დიდუბეში მდებარე შენობას დაცვა არ ჰყავს. შეიარაღებული ნიღბიანი პირი შენობაში მაშინ შეიჭრა, როცა იქ მხოლოდ ოპერატორი და მოლარე იმყოფებოდნენ. ცქიტიშვილის თქმით, დამნაშავემ მათ მცირედი თანხა გამოსძალა და გაიქცა.

მედიანიუსი

## გზა შრომის ბირჟისკენ კონკურსზე გადის

**სოფლის** მეურნეობის სამინისტროდან, ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით, 69 თანამშრომელი გათავისუფლდა. სამინისტროში



განაცხადეს, რომ ოქტომბერში ორი კვირის განმავლობაში სამინისტროს აპარატში საკვალიფიკაციო ატესტაცია ჩატარდა, რომელიც 126-მა თანამშრომელმა გაიარა. მათ შორის 70-მდე კადრმა უარყოფითი შეფასება მიიღო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები ვაკანტურ თანამდებობებზე კადრებს კონკურსის წესით შეარჩევენ.

ინტერპრესნიუსი

⊙ მხარე

# ბოლნისელებს თავი ქუდში აქვთ

**კარგა ხანია, ბოლნისში არ ვყოფილვარ. და აი, ახლა საქართველოს ხვავრიელი შემოდგომით გაჯერებული ამ ულამაზესი კუთხის ხიბლით თვალი ვერ ძღება. მოხასხასე ქედები, ქალაქის კარიბჭე, ნარინჯისფერი კრიალა ცა და...**

**სახლების ფასადების შეღებვა-შელამაზებაზე ბევრი ითქვა, აქაოდა, ქვეყნის პრეზიდენტს მოსწონსო, ახლახან ქუთაისში გავლით ვიყავი და, იქაც ბუმია, რუსთავის ძველი უბანიც ხასხასებს. ამბობენ, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ ბოლნისელთა სახლების ფასადები ძალიან მომეწონა. ქალაქში შეხვალ თუ არა, ეგრევე გტაცებს მზერას და სასიამოვნო შეგრძნებით გავსებს. როგორც ყველგან, აქაც გზების მოასფალტების გაცხოველებული სამუშაოები მიმდინარეობს.**

**კიდევ ცოტაც და, რაიონის გამგებელს გიორგი არევაძეს ვეცნობი. ჩემთვის ახალი კაცია, თორემ ბოლნისთან, როგორც ჟურნალისტს, ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს და უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მიყვარს აქაურობა, ბევრი მეგობარიც მყავს.**



— მე რომ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვყოფილიყავი, ჩანაწერებს არ მოვიშველიებდი, ისე ჩამოგიკაკლავდით, ვინ რამდენი მოსავალი მოიწია, სად კარტოფილის მოსავალი იყო ბარაქიანი, სად რთველი ან მეცხოველეობა, — იუმორნარევი ღიმილით მომიგებს გამგებელი.

ეტყობა, უხერხული კითხვა დაუსვი, სისხლსა და ხორცში გამჯდარი, ჩემეული, ტრადიციული. ბოლნისი ხომ ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელია. ამიტომ სულმაც წამძლია, მიუხედავად ბუნების წლევანდელი უკულმართობისა, საქართველო ბარაქიანი შემოდგომის წიწილებს ითვლის.

— მოსავალი ხვავრიელია, გლეხობამ ბუნებისგან კუთვნილი მიიღო, — ღიმილითვე განაგრძობს საუბარს რაიონის თავკაცი, — და ყველაფერი კალაპოტში დგება. ჩემი ამოცანაა მათ დავეხმარო ჭირნახულის დაბინავებაში, იყოს წესრიგი, პრობლემები არავინ შეუქმნას, იგრძნონ ხელისუფლების ყურადღება, ბიუჯეტმაც მიიღოს თავისი. ახლა მიწის პრივატიზაციის კამპანია იწყება. ეს მეტად რთული და პასუხსაგები საქმეა. მიწა კი არ უნდა გავასხვისოთ, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ, არამედ პატრონს, კეთილსინდისიერ მეურნეს ჩავაბაროთ მოსავლელად, მოსაფერებლად....

***— წელან ბიუჯეტის შევსებაზე თქვით...***

— ციფრებით გინდათ თუ... ისევ იღიმება.

***— როგორც თქვენ მიგაჩნიათ, რომელია მართებული?***

— ჩემთვის მთავარია პედაგოგებმა, მედიცინის მუშაკებმა, პოლიციელებმა დროულად მიიღონ ხელფასები, პენსიონერები არ დაგვემშეს...

უამრავი მრავალშვილიანი დედა გვყავს. მომავალ თაობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის უპირველესი პრობლემა უნდა იყოს. თქვენ საკმაო ნაცნობობაც გქონიათ და აქედან რომ გახვალთ, შეგიძლიათ, ნებისმიერ ბოლნისელს გაესაუბროთ.

***— ასეც მოვიქეცი, სანამ თქვენთან შემოვიდოდი. საჭირო ინფორმაცია მოვიძიე, ასე რომ... რაიონის მამა-მარჩენალი მადნეულია და მაინც, ეს რაიონი თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, გამორჩეულია. თქვენს მისაღებში ამ ოთხი ათეული წლის წინათ მოწყობილ სტენდებზე უამრავი სხვადასხვა იშვიათი ფორმის და მოხაზულობის ქვებია ჩამოლაგებული. გასულ საუკუნეში ქართველმა გეოლოგებმა ზღაპრული აღმოჩენები გააკეთეს. მათ მიერ მიგნებულ ქვათა კარიერებში თვალისმომჭრელი სილამაზეა და ეს აქაა მნიშვნელოვანწილად გამოფენილი. მაგრამ რაც მახსოვს, მათი პრაქტიკული გამოყენება, ხალხის სამსახურში ჩაყენება დღემდე ვერ მოხერხდა. აქ მხოლოდ ბაზალტის ქვას ამუშავებენ. არადა, ძვირფასი ქვების ეს უნიკალური საბადოები ქვეყანას დიდ მოგებასაც მოუტანდა.***

— გეთანხმებით, მართლაც შესანიშნავი განძია. მეც ვიფიქრე, მაგრამ ჯერ ერთი წელია, რაც აქ ვარ და...

**გიორგი არევაძე ახალგაზრდა კაცია. 64 წელს დაიბადა თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მოღვაწეობა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური სამსახურის ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლობის სტატუსით დაიწყო და იქ კარგი გამოცდილებაც შეიძინა. შემდეგ ჩვენი კოლეგა გაზეთ „საქართველოს რეგიონის“ მთავარი რედაქტორიც გახლდათ. შემდეგ სამგორის რაიონის გამგებლობაც მოუწია. იქიდან თბილისში ვიცე-პრემიერად გადაინაცვლა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და საპატრულო სამსახურის ერთ-ერთი თანაავტორიც გახლდათ. ამჟამად ჩემი მასპინძლის როლშია. ამ უმშვენიერეს და უმდიდრეს რაიონს თავკაცობს, ჰყავს მეუღლე და შვილები.**

***— ადამიანთა დასაქმებაზე რას გვეტყვით, ეს ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. თქვენ აქ რასა იქმთ?***

— ამ რამდენიმე დღის წინათ მშენებლებს შევხვდი. ალბათ, ნახეთ, იგება გზები, იცვლება ქალაქის იერსახე, მას ახალი ნაგებობებიც ემატება. მოვითხოვე ტემპის დაჩქარება და გვითხრეს, მუშახელი გვაკლია, დმანისიდან ჩამოგვყავს ხალხიო. ვისაც საქმე არ ეზარება, ყველას შეუძლია აკეთოს, ხელფასი ჰქონდეს, მადნეულშიც ბევრი სამუშაო ადგილია.

***— მადნეულს მეორედ ახსენებთ. ასეც უნდა იყოს, ქვეყნის ინდუსტრიული ბურჯია. რა ხდება იქ?***

— თუ არ დაიზარებთ, იქაურობის შესახებ ადგილზე გაარკვიეთ, შეიარეთ კაზრეთში. მე მხოლოდ ერთს გეტყვით, კაზრეთი ბოლნისის რაიონის საკუთრებაა. ზოგიერთი დეპუტატი კი პარლამენტში ინიციატივით შედის, წიაღის მოსაკრებელი რაიონში კი არ დარჩეს, მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტს გადაეცესო. ეს პარლამენტარი გიორგი თორთლაძე გახლავთ. არადა, რა უფლებით ართმევს რაიონს თავის სიმდიდრეს? ეკოლოგიური პრობლემა ჩვენი თავსამტვრევია, ჩვენი მადანი გადის, ჩვენი ადამიანები ქმნიან დოვლათს, ჰოდა, თქვენ ხელები დაიბანეთ. არაფერი გეკუთვნითო. გეკითხებით, ესაა ხალხის რჩეულის თავის ამომრჩევლებზე ზრუნვა? თუ ეს ასე მოხდა, ჩათვალეთ, რაიონი ხელცარიელი დარჩება.

***— დღეს თამამად შეიძლება ითქვას, ბოლნისი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული სპორტული რაიონია. რად ღირს თუნდაც თქვენი ფეხბურთელთა გუნდი.***

— გული მწყდება, რომ თბილისის „დინამოს“ ვერ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა. მათ ბევრად მეტის გაკეთება შეეძლოთ. თბილისის „დინამო“ მაინც „დინამოა“, მისმა დიდმა ავტორიტეტმაც იმოქმედა ბიჭებზე. პირადად მე ჩვენებურების თითქმის ყველა თამაშს ვესწრები. მთავარი გუნდის გარდა, ქალაქის თითქმის ყველა უბანში გვაქვს მინისტადიონები, ფეხბურთი ჩვენი ახალგაზრდობის გატაცებაა. არც სხვა სახეობები იჩრდილება და მაინც მეამაყება ჩვენი ძიუდოისტ ქალთა გუნდის, მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი...

***— ძიუდოში ქალებს ასე რომ წვრთნით, არ გეშინიათ?*** — ვკითხე და ამ ხუმრობაზე მევე გამეცინა. ჩემი მასპინძელი მთას რომ დაეჯახოს, გაიტანს, თვითონ მთასავით ვაჟკაცია. უფრო საინტერესოდ კი არაოფიციალური, კულუარული საუბარი მომეჩვენა, სადაც რაიონის სამომავლო გეგმებზე, ახალგაზრდობის პერსპექტივაზე, მათ დასაქმებაზე ვისაუბრეთ. სოციალური პირობების უკეთ გადაჭრა გამგებლის უმთავრესი საზრუნავია. რაც მთავარია, რაიონს ხელმძღვანელთა ერთიანი გუნდი ჰყავს, შემოქმედებითი ძიების ახალ-ახალი გზების გაკვლევით რომ არიან დაკავებული.

**გივი ჯახუა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

⊙ კონფლიქტის ზონა

# არ არის მშვიდობა კულახმეტოვის მიზეზით

**რუსები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში იმიტომ დგანან, რომ აქ მშვიდობა არ დაირღვეს, კარგა ხანია თავად გახდნენ კონფლიქტების, დებოშისა და არეულობის წამომწყებნი.**

გენერალი კულახმეტოვი, ამა საქმეთა ოსტატი, გუშინაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა: მისმა ჯარისკაცებმა მანქანით მიმავალ საქართველოს მოქალაქეს მამედოვს ესროლეს და დაჭრეს.

უკვე აღარავის უკვირს: კონფლიქტის ზონაში ჩვენს მოქალაქეებს კიდევაც კლავენ, კიდევაც იტაცებენ და მერე მათი ასავალ-დასავალი აღარავინ იცის, იჭერენ, სცემენ... კულახმეტოვი და მისი ხელქვეითები თვალს არ ახამხამებენ: არაფერი ესმით, არაფერი იციან, ვერაფერს ხედავენ.

ინციდენტის გამოძიების კომისია შეიქმნაო. რამდენიც გინდათ, იმდენი კომისია შექმენით, გინდაც დღეში თორმეტი.



კულახმეტოვი მაინც მართალი იქნება, რადგან ასე სურთ მის პატრონებს მოსკოვში.

**გურამ პავლიაშვილი**

⊙ SOS!

# გვეშინოდეს იდუმალი სიკვდილის

**გავანადგუროთ ქვეყანა გადაყრილი შპრიცებისგან!**

**გუშინ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მუშაკებმა ამ სამსახურის ეზოში უჩვეულო აქცია გამართეს.**

აქციაზე დასასწრებად, რომლის დევიზი იყო „გავანადგუროთ ქვეყანა გადაყრილი შპრიცებისგან!“, მოვიდნენ ჟურნალისტები, ინსპექციის მუშაკები, „ნიკა ქავთარაძის შოუს“ წამყვანი სახეები: გიგა ნასარიძე, ზურა გაჩეჩილაძე, შონზო, რაჯა და სხვები.



როგორც ინსპექციის უფროსმა **დავით მესხიშვილმა** განაცხადა, არავისთვის დასამალი არ არის, რომ ნარკომანია, როგორც პრობლემა, ჩვენთან არსებობს, რასაც აღვიქვამთ როგორც ჩვენი ახალგაზრდობის დიდ ტრაგედიას, ისედაც შეთხელებული ჩვენი გენოფონდის მოსპობის საშიშროებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდები ამ წუმპეში ხშირად გაუთვითცნობიერებლად ვარდებიან. თავისთავად ხომ უბედურებაა, როცა ნარკოტიკს მოიხმარ, შპრიცს ხმარობ, მაგრამ დამერწმუნეთ, არანაკლები უბედურებაა, როცა ამ შპრიცებს სადარბაზოში, ეზოში, ქუჩაში დაგდებულს პოულობენ ახალგაზრდები და კვლავ მოიხმარენ. ასეთი შპრიცი ხომ ათასნაირი დაავადების, ინფექციის გავრცელების წყარო შეიძლება გახდეს.

და აი, ჩვენი სამსახურის მუშაკებმა გადავწყვიტეთ შეგვეგროვებინა გადაყრილი შპრიცები. აქ საქვეყნოდ გაგვენადგურებინა და ამით ჩვენი აგრესია გამოგვეხატა. ამჯერად ვაკის, საბურთალოს, ვერისა და მთაწმინდის უბნები მოიარეს ჩვენმა მუშაკებმა, დაახლოებით 2000-ზე მეტი შპრიცი შეგროვდა.

**გიგა ნასარიძე:** — არაჩვეულებრივი აქციაა. დიდ მადლობას ვუხდი პირადად დავით მესხიშვილს, რომ შესაძლებლობა მოგვცა მე და ჩემს მეგობრებს ამ აქციაში მონაწილეობა მიგვეღო. ხომ ხედავთ, რა დონეზეა დღეს ჩვენთან ნარკომანია? ბოდიში და ყველა და ყველაფერი ამ ადამიანებს ფეხებზე ჰკიდიათ. ჩვენი ვალია მოვუწოდოთ ახალგაზრდებს: არა ნარკომანიას! ჩვენი აქ მოსვლით გვინდა მხარდაჭერა გამოვუცხადოთ აქციის თავკაცებსა და მონაწილეებს.

ინსპექციის თანამშრომლებმა შეგროვილი შპრიცები შუა ეზოში დაახვავეს, მერე სპეციალური სატკეპნით, რომელსაც თავად დავით მესხიშვილი მართავდა, მიწასთან გაასწორეს, შემდეგ კი სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფის სამსახურის — შპს ექსპრეს-დიაგნოსტიკის სამსახურის თანამშრომლებმა უკვე გასრესილი შპრიცები კონტეინერში ჩაყარეს და დანიშნულებისამებრ წაიღეს.

კომენტარი ვთხოვე ამ სამსახურის უფროსს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ედიშერ კვესიტაძეს:** ჩვენი სამსახურის ანალოგი პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არსებობს. არადა, ძალზე საჭიროა: წარმოიდგინეთ, შიდსისა და C ჰეპატიტით დაინფიცირებული სისხლი კანალიზაციაში ილვრებოდა, ასევე არ ხდებოდა სამედიცინო ნარჩენების გამოცალკავება, რაც ყოვლად დაუშვებელია. მათი უბრალოდ დაწვა არ შეიძლება, თუ მას არ მოსცილდა მავნე, მომწამლავი ნივთიერებები. ჩვენ დამუშავებული გვაქვს სპეციალური ტექნოლოგიები, გვაქვს სათანადო ბაზაც, სადაც უვნებელვყოფთ სამედიცინო ნარჩვენებს, მერე კი როგორც საჭიროა, ისე ვანადგურებთ.

რომ არა დავით მესხიშვილის ძალისხმევა, გაგვიჭირდებოდა ამ სამსახურის მოწყობის იდეის ხორცშესხმა, რადგან სწორედ ამ სამსახურის მიერ ჩატარებულმა რეიდებმა გვაფიქრებინა მეცნიერებს, შეგვემუშავებინა ის მეთოდები და ტექნოლოგიები, რომელთაც ახლა ვიყენებთ სამედიცინო ნარჩენების განადგურებისთვის.

დავით მესხიშვილის განმარტებით, ანალოგიური აქციები სხვა ახალი სახეების შემადგენლობით ახლა თბილისის დანარჩენ უბნებში განხორციელდება, მას მიაჩნია, რომ ჯანსაღი საზოგადოების აზრის გარეშე ამ მავნე ჩვევას ვერ მოვერევით.

**ნაზი იმნაიშვილი**

ხიდები

# „დემოკრატია კაპიტალიზმს მოითხოვს“

## ლეშეკ ბალცეროვიჩი კვლავ გვეწვია



**„სოციალიზმი აბსურდული წყობა იყო. დემოკრატია კაპიტალიზმს მოითხოვს. ეკონომიკის განვითარებისთვის კაპიტალისტური სისტემაა აუცილებელი. დემოკრატია, როგორც ცნობილია, უწინარეს ყოვლისა არჩევანის შესაძლებლობას ნიშნავს. არჩევანი კონკურენციის ერთ-ერთი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია — განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა“.**

ეს სიტყვები პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ლეშეკ ბალცეროვიჩს ეკუთვნის. იგი ახლა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის მოწვევით თბილისში იმყოფება და ვიზიტის ფარგლებში შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში უკვე შედგა ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნების „შეზღუდული სახელმწიფოსაკენ“ და „თავისუფლება და განვითარება სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“ პრეზენტაცია, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელმა, დოცენტმა ამბროსი გრიშიკაშვილმა ქართულად თარგმნა.

წიგნში — „თავისუფლება და განვითარება სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“ — მიმოხილულია ეროვნული მეურნეობის განვითარების მიმართულებები, კერძოდ, ჯანსაღი ფინანსების, დაბალი საბიუჯეტო ხარჯებისა და გადასახადების, გაწონასწორებული ბიუჯეტის მნიშვნელობა სახელმწიფოს განვითარებისათვის.

ლეშეკ ბალცეროვიჩმა საქართველოს ეროვნულ ბანკში დამსწრეთ განუცხადა: წიგნზე მუშაობისას ვფიქრობდი არა მარტო პოლონეთის, არამედ ყველა იმ ქვეყნის შესახებ, რომლებსაც წარსულში კომუნისტური სისტემა განვითარების საშუალებას არ აძლევდა. ვცდილობდი მკითხველისათვის მიმეთითებინა იმ ბერკეტებსა და ძალებზე, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე და ქვეყანას, თუნდაც ღარიბს, წარმატებული განვითარების საშუალებას აძლევს.

გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სემინარი, რომელზეც პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარსდგა მოხსენებით „გარდამავალი ეკონომიკის გაკვეთილები“. სემინარის მონაწილეები ასევე გაეცნობიან ლეშეკ ბალცეროვიჩის „Wall Street Journal“-ში დაბეჭდილ სტატიას „ხალხთა სიმდიდრე“.

დღეს ვიზიტის ფარგლებში ბორჯომის სამთავრობო რეზიდენციაში დაგეგმილია კიდევ ერთი სემინარის გამართვა, რომელზეც ლეშეკ ბალცეროვიჩი წარსდგება მოხსენებით თემაზე „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის გაკვეთილები“. სემინარს რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების, ასევე ადგილობრივი ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლები დაესწრებიან.

**ლალი ქინქლაძე**

გვწერენ

# „მზიურში“ 80 ძირი ხე დავრგეთ!

## მოსწავლის წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო, ამ წერილს გწერთ 14 წლის მოზარდი და ჩემი თაობის სახელით ვეხმაურები სატელევიზიო გადაცემას, რომელშიც ითქვა ბავშვთა საოცნებო ქალაქ „მზიურის“ კორპუსებით განაშენიანების თაობაზე.**

ჩემი აზრით, სრულიად დაუშვებელია ბავშვთა ქალაქში კორპუსების ჩადგმა. და თუმცა პარკის მიტაცების მსურველებს „სამართლიანი“ მიზეზი აქვთ — მისი ტერიტორიის მოუვლელობა — მებადება კითხვა: თუ ამ ბოლო წლების განმავლობაში ერთი ხეც არ დარგულა და არც არაფერი გაკეთებულა პარკის ასაღორძინებლად, როგორღა იქნება იგი მოვლილი? განა პარკის მოვლა კორპუსების ჩაუდგმელად შეუძლებელია?



მე, პირადად, ამ პარკში ვარ გაზრდილი და არაფერი მინახავს აშენებული. დანგრეული და დაშლილი კი — ბევრი. დაიშალა ყველაფერი, რაც ნოდარ დუმბაძის თაოსნობით და დიდი ძალისხმევით გაკეთდა.

ახლახან ტელევიზიით გადაიცა სარეკლამო რგოლი სახელმწიფო გერბით, რომელიც მოგვიწოდებს: „შენც დარგე ხე!“ ძალიან საინტერესოა, სად უნდა დავრგოთ ხე, თუ პარკები და სკვერები აღარ გვექნება?

მსოფლიოს ქვეყნები უდიდეს ყურადღებას აქცევენ პარკების განვითარებას და ძალიან საინტერესოა, რომელ ქვეყანას ბაძავს საქართველო, თითქმის არც ერთ პარკს რომ არ გვიტოვებენ ბავშვებს?

ყველასთვის ნათელია, რომ მთავრობას დღეს შესაძლოა „მზიურის“ ასაღორძინებელი სახსრები არ გააჩნდეს, მაგრამ ნუთუ ის მაინც არ შეიძლება, რომ პარკი პარკად დარჩეს იმ დრომდე, ვიდრე ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა გაუჩნდება აქ ატრაქციონების, აუზების და დასასვენებელი ზონის შესაქმნელად?

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, ისეთივე საჩუქარი გაგვიკეთოთ, როგორიც თქვენ ბორჯომელებს გაუკეთეთ.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობა „მზიურს“ ყველასთვის ხელმისაწვდომ დასასვენებელ ადგილად გადააქცევს. მით უმეტეს, რომ მიმდებარე ქუჩებზე გაშენებულ კორპუსებს გამწვანებული ეზოები საერთოდ არა აქვთ. მგონია, რომ დედაქალაქის მოსახლეობასაც უნდა ჰქონდეს სუნთქვის საშუალება.

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ, პარკი შეინახოთ ისეთად, როგორიც არის. იქ თუნდაც ერთი მრავალსართულიანი სახლის ჩადგმამ შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი გამოიღოს. მოსახლეობა კი შეძლებისდაგვარად შევეცდებით, გავაუმჯობესოთ შექმნილი ვითარება. ამის დადასტურებაა 12 ნოემბერს გამართული შაბათობა, როცა მოსახლეობამ, მოზარდებმა 80 ძირამდე ხე დარგო. ჩვენ შევეცდებით, მსგავსმა აქციებმა სისტემატური სახე მიიღოს.

**გეგი გეგელია,**
**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის მეორე ქართული გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე.**

სიგნალი

# ჯავახეთში სომხური სკოლა გაიხსნა, ქართული — დახურვის პირასაა!

**საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის და სიცოცხლისათვის“ გულთან ახლოს მიიტანა ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიის სკოლის გასაჭირი: ამ ძირძველი ქართული სოფლის სკოლა დღეს სავალალო მდგომარეობაშია. ახლახან ასოციაციის თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე და მისი თანამოაზრეები ჯავახეთის ამ სკოლას ეწვივნენ, თან ჩაიტანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის, ახალი ქართული ენის კათედრის პედაგოგებისა და ასოციაციის ოფისის თანამშრომლების მიერ შეგროვილი ქართველი და უცხოელი კლასიკოსების მხატვრული ნაწარმოებები, ლექსიკონები ქართულ და რუსულ ენებზე, მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და სხვა. კოთელიის სკოლას ბიბლიოთეკა არ ჰქონდა, ჩატანილი წიგნებით სასწავლებელს ბიბლიოთეკა დაუფუძნეს.**



ეს სოფელი ახალქალაქის რაიონში თითზე ჩამოსათვლელი ქართული სოფლების — ბარალეთის, გოგაშენის, ჩუნჩხას, ტენას შორის ყველაზე დიდია და მთლიანად ქართველებით არის დასახლებული. ამ სკოლაში ბავშვები მეზობელი სოფლებიდანაც დადიან, მათ შორის — სომხებიც.

ჯავახეთში ზამთარი მკაცრი იცის. სკოლა მიწისძვრამ დააზიანა. მეორე წელიწადია, სკოლის დირექტორმა ალექსანდრე აჩელაშვილმა დაწყებით კლასებს საკუთარი სახლი დაუთმო. აგერ უკვე 16 წელიწადი ხდება, რაც კოთელიის სკოლის პირველი სართულის კედლები ამოიყვანეს და მშენებლობაც შეჩერდა... მისთვის ვერც სახელმწიფომ და ვერც ვერავინ მოიცალა, სკოლას ვერც რეფორმამ უშველა. მის გვერდით მდგომი ამწე ლამის კოთელიის სიმბოლოდ იქცეს. არადა, ამ სკოლას არაერთი ცნობილი მეცნიერი და დამსახურებული მოღვაწე აღუზრდია... წლეულს ამ სკოლის კურსდამთავრებულთა უმეტესობამ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა. რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი გაიხსნა, უმრავლესობა უკვე იქ სწავლობს და ადგილზე რჩება და ქართული სოფელიც იზრდება. დღეს კოთელიის სკოლაში 118 მოსწავლე სწავლობს. მის ახლოს სოფელ განძაში კეთილმოწყობილი სომხური სკოლა კი გაიხსნა...

კოთელიის სკოლის მასწავლებლები ჩივიან:



— მეზობელი სოფლის სომხურმა სკოლამ რომც შეგვიფაროს, იქ სასიარულოდ ავტობუსიც გამოგვიყოს, მთელი დღე იქ ვიქნებით და მოვწყდებით ოჯახს და ჩვენს მეურნეობას. ასე თუ გაგრძელდა, კოთელიის სკოლას დახურვა დაემუქრება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საპილოტედ შერჩეულ 100 სკოლას შორის ჩვენი სკოლაც არის. აქ საგნებს ახალი მეთოდით ვასწავლით, როგორც ამას საპილოტე სკოლის მუშაობის შინაარსი თხოულობს, მაგრამ სკოლას მუშაობის პირობები ხომ უნდა ჰქონდეს. ჩვენთან სამინისტროს წარმომადგენლებიც იყვნენ, პრობლემის მოგვარებაში დაპირებაც აღგვითქვეს, მაგრამ დანაპირები ჯერ არ ჩანს. 16 წლის წინათ დაწყებული მშენებარე სკოლის პირველი სართული მაინც რომ გადაიხუროს, საკლასო ოთახებს გადავტიხრავთ და ჯერჯერობით ესეც გვეყოფა...

**... წერილი მზად გვქონდა, როცა ასოციაციიდან გვაცნობეს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, გაეცნო რა კოთელიის სკოლის დირექტორის ალექსანდრე არჩელაშვილის განცხადებას, გაითვალისწინებს, ამ საპილოტე სკოლის გასაჭირს და დაეხმარება.**
**ვნახოთ!..**

**ნათელა ფაილოძე**

ინფორმაცია

## პასუხი დღეს უნდა იყოს



**ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა რამიშვილის საქმის გამოძიება დასრულდა.**

დღეს დაკავებულის ადვოკატები საქმის შეწყვეტის შესახებ გამოძიების წინაშე დაყენებულ შუამდგომლობაზე პასუხს მიიღებენ, რის შემდეგაც საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცემა.

რამიშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით კოხრეიძემ განაცხადა, რომ რამიშვილის ქმედება ბრალდების მხარის მიერ გამოძალვად შეფასდა, თუმცა ვინაიდან კანონით გამოძალვა მუქარის ფაქტსაც მოიცავს, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მომხდარისთვის ამგვარი კვალიფიკაციის მინიჭება.

## გურულებს „სიბნელე“ ყელში ამოუვიდათ

**ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობამ გუშინ „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ოზურგეთის ფილიალის პიკეტირება დაიწყო, რომლის შენობასთან ოზურგეთის 100-მდე მცხოვრები შეიკრიბა. ისინი ქალაქის კომუნალურ გამრიცხველიანებას აპროტესტებენ და ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესის სასწრაფოდ დაწყებას მოითხოვენ.**

რეგიონის გამრიცხველიანების საკითხთან დაკავშირებით გუშინვე ოზურგეთში იმყოფებოდა „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორი დინ უაითი, რომელმაც სამხარეო რწმუნებულ ალექსანდრე ცინცაძესთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ გურიის მხარეში და შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთშიც, ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2006 წლის იანვარში დაიწყება და ორთვენახევარში დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

## სტუდენტები აღშფოთებას გამოთქვამენ

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი სტუდენტური ალტერნატივა“ უმაღლესი განათლების შესახებ კანონს მიუღებლად მიიჩნევს. ორგანიზაციის თავმჯდომარის ლაშა ბლიაძის განცხადებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უხეში მეთოდებით მართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რაც უნივერსიტეტის ცხოვრებაზე უარყოფითად აისახება.**

„სასწავლო პროცესის პირველი სემესტრის დასრულებამდე მხოლოდ ერთი თვე დარჩა და სტუდენტთა უმრავლესობას ისიც კი ვერ გაურკვევია, რომელ ფაკულტეტზე სწავლობს. უნივერსიტეტში სრული ქაოსია და ამაში დამნაშავე უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციაა“, — განაცხადა ლაშა ბლიაძემ პრესკონფერენციაზე. მისივე განცხადებით, რექტორმა პასუხი უნდა გასცეს იმ სტუდენტებს, რომლებიც სტუდქალაქში ცხოვრობენ.

## უცნაური პლაკატები ქუჩებში

**„ქალაქში მკვლელია“, — ასეთი წარწერებით პლაკატები გუშინ დილით თბილისის რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაში გაჩნდა. 15-მდე პლაკატი ძირითადად მთაწმინდა-კრწანისისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებშია გაკრული, კერძოდ, რუსთაველის, ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის გამზირებზე.**

პლაკატების გამოჩენაზე კომენტარს ვერც რაიონების გამგეობებში და ვერც პოლიციის სამმართველოებში აკეთებენ. მათი გამოკვრის მიზეზს ვერც მოსახლეობა ხსნის, თუმცა მოქალაქეების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლოა რაიმე პიარკამპანიის დაწყებას უკავშირდებოდეს.



თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა განაცხადა, რომ ამგვარი პლაკატების გაკვრა მის სამსახურთან არავის შეუთანხმებია. სამსახურის თანამშრომლები პლაკატების ჩამოხსნას შეუდგნენ.

## რა ქნას იმან, ვისაც ასეთი ნათესავები არა ჰყავს?

**24 წლის ბესო აფრასიძე, რომელმაც კოდორის ხეობაში მძიმე ტრავმა მიიღო, უკვე თბილისში ჩამოიყვანეს. როგორც ექიმები აცხადებენ, აფრასიძის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. თუმცა მას ოპერაცია მაინც ესაჭიროება. როგორც ცნობილია, კოდორის ხეობაში ავტოავარიის შემდეგ ბესო აფრასიძის ნათესავები და ადგილობრივი ადმინისტრაცია თვითმფრინავის სპეცრეისის დანიშვნას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ აფეთქებით იმუქრებოდნენ. რომ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტიდან ე. წ. „კუკურუზნიკის“ ტიპის თვითმფრინავის კოდორში გაგზავნა, ბესო აფრასიძის ნათესავები „კავკასიონს“ მართლაც ააფეთქებდნენ“, — განაცხადა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის წარმომადგენელმა კოდორის ხეობაში მევლუდ ჯაჭვლიანმა.**

**მედიანიუსი**

კანონმდებლობა: ახალი საბაჟო კოდექსი

# ჰარმონიზაციისა და ოპტიმიზაციის გზაჯვარედინზე

(მესამე გვერდიდან)

აღნიშნული დოკუმენტით, მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ **„სატრანზიტო გადაადგილების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს შეთანხმების მიზნების განხორციელების აუცილებელ პირობას. ამ თვალსაზრისით, ორივე მხარემ უნდა უზრუნველყოს თავის ტერიტორიაზე იმ საქონლის შეუზღუდავი ტრანზიტი, რომლის წარმოშობის ან დანიშნულების ადგილია მეორე მხარის საბაჟო ტერიტორია“.** ამ დებულებასთან ერთგვარ წინააღმდეგობაშია **საბაჟო პროექტის ის ნაწილი, რომელიც საბაჟო გარანტიების გაძლიერებული მექანიზმის შემოღებას გულისხმობს ვალდებულების შესასრულებლად (მუხლები 109-110 და 197-207).** გარანტიების ახალი ფორმების შემოღება — საბანკო გარანტია, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი და სახელმწიფო ხაზინაში დეპოზიტის განთავსება — მძიმე ტვირთად დააწვება საქონლის გადამაადგილებელ პირებს, რამაც, შესაძლოა, საქართველოს გავლით მიმავალი ტრანზიტული ტვირთნაკადის შემცირება გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, ამ მექანიზმის დანერგვით ტვირთის მუდმივად შემომტან და გამტან პირებს ასევე მუდმივად უნდა ჰქონდეთ შესაბამის ანგარიშებზე სათანადო თანხები გაყინული, რომელთა გამოყენების საშუალება არ ექნებათ (სწორედ ეს ეწინააღმდეგება საქართველოსა და ევროკავშირს შორის აღიარებულ პრინციპს სატრანზიტო გადაადგილების თავისუფლების შესახებ).

უდავოა, რომ ეს გზა საბაჟო დეპარტამენტის მიერ კონტროლირებადი საბიუჯეტო შემოსავლის უდანაკარგოდ მობილიზების საფუძველია. ამიტომ, **ქვეყნის ხელისუფლებამ ბიზნესის სიმძიმესა და საბიუჯეტო შემოსავლის ოპტიმიზაციას შორის ეკონომიკური არჩევანი უნდა გააკეთოს.**

ამავე შეთანხმებით, თანამშრომლობის ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებს **კეთილსინდისიერ ვაჭრობასა და საქართველოს საბაჟო სისტემის მიახლოებას გაერთიანების სისტემასთან, რაც, კერძოდ, გულისხმობს: ინფორმაციის გაცვლას, სამუშაო მეთოდების გაუმჯობესებას, კომბინირებული ნომენკლატურის და ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის მიღებას; გაერთიანებისა და საქართველოს სატრანზიტო სისტემების ურთიერთკავშირს, საქონლის ტრანსპორტირების ინსპექციისა და ფორმალობათა გამარტივებას, თანამედროვე საბაჟო საინფორმაციო სისტემების დანერგვის მხარდაჭერას, აგრეთვე სემინარებისა და სასწავლო პერიოდების ორგანიზებას.**

მართალია, აღნიშნული საკითხები საბაჟო კოდექსის პროექტის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება, მაგრამ **სამომავლოდ, ახალი საბაჟო სისტემის ფორმირებისას, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.**

საბაჟო კოდექსის პროექტით, ამჟამად არსებული 15 საბაჟო რეჟიმიდან მომავალში მხოლოდ 8 დარჩება, ზოგიერთი მათგანი საერთოდ გაუქმდება ან მოხდება მისი გაწერა სხვადასხვა პროცედურებში.



ახალი საბაჟო კოდექსის პროექტით დარჩება შემდეგი საბაჟო რეჟიმები: **1. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში დაშვება (იმპორტი); 2. ტრანზიტი; 3. საბაჟო საწყობში შენახვა; 4. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე; 5. გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ; 6. დროებითი შემოტანა; 7. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ; 8. ექსპორტი.** საბაჟო დამუშავების ოპერაციებად გადაკეთდება შემდეგი საბაჟო რეჟიმები: **1. თავისუფალი ზონა; 2. თავისუფალი საწყობი; 3. რეექსპორტი; 4. საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ; 5. სახელმწიფოს საკუთრებაში საქონლის გადაცემა.** საბაჟო რეჟიმები, რომლებიც უქმდება და შესაბამისი დებულებები გაიწერება სხვადასხვა პროცედურებში, შემდეგია: **1. რეიმპორტი და დროებითი გატანა (ერთიანდება საბაჟო პრევენციებში დაბრუნებული საქონლის სახით); 2. უბაჟო ვაჭრობა (ერთიანდება საბაჟო საწყობში შენახვის საბაჟო რეჟიმში).**

საბაჟო კოდექსის წარმოდგენილი პროექტის საბაჟო რეჟიმების სახეობები ზუსტად შეესაბამება ევროკავშირის საბაჟო პროცედურების სახეობებს, ხოლო საბაჟო დამუშავების ოპერაციების სახეობები მცირედით განსხვავებულია ევროკავშირის საბაჟო რეჟიმების სახეობებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, **წარმოდგენილი კოდექსის პროექტით საბაჟო დამუშავების ოპერაციები ზუსტად არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირის შესაბამის პროცედურებთან. ამ მექანიზმის გამოყენებით საქართველოში უქმდება ისეთი მნიშვნელოვანი საბაჟო რეჟიმი, როგორიცაა რეიმპორტი.**

ასეთი ფორმით საბაჟო რეჟიმების დამტკიცებისას პირს, რომელსაც უნდა ჯერ საქონლის გატანა, ხოლო შემდგომ იგივე სახით მისი საქართველოში შემოტანა (მაგალითად, საგამოფენო დანიშნულებით საქონლის გატანა, ან დროებით საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადასვლისას გადასახადებისგან გათავისუფლების დადგენილ ზღვარს ზემოთ საქონლის გატანა), ჯერ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოუწევს საქონლის გაფორმება, ხოლო შემდგომ — იმპორტის საბაჟო რეჟიმში, რაც საბაჟო პროცედურების გართულებას გამოიწვევს. ამიტომ, **აუცილებელია, რომ რეიმპორტი გახდეს საბაჟო დამუშავების ოპერაციის ერთ-ერთი სახეობა.**

საბაჟო კოდექსის მიღებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობა გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, ვინაიდან არსებული დებულებები მორგებული იყო მოქმედ საბაჟო სისტემასა და პროცედურებზე.

განსახილველად წარდგენილი ცვლილებებით, საბაჟო კონტროლის ზონაში ფიტოსანიტარიულ, ვეტერინარიულ და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს განახორციელებენ მხოლოდ საბაჟო ორგანოს წარმომადგენლები.

აღნიშნული რეფორმით მნიშვნელოვნად მცირდება იმ სასაზღვრო მაკონტროლებელ უწყებათა რიცხვი, რომლებსაც საზღვრის გადამკვეთ პირებთან უწევდათ შეხება, რაც დიდ დროს იკავებდა და დამატებით ფინანსური სახსრების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული. ამდენად, ბიზნესმენთა უკმაყოფილებასაც იწვევდა. მიუხედავად ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საბაჟო ორგანოს მიერ ამ სახეობათა კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის უვნებლობის დადგენა და, შესაბამისად, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. ამიტომ ეს საკითხი საქმიანი განსჯის საგანი უნდა გახდეს.

**ბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საბაჟო პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია საბაჟო კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ზოგიერთი პროცედურული დებულების გამარტივების მხრივ, თუმცა ზოგიერთი კონკრეტული საკითხი დასახვეწია და გასამარტივებელი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის მიღებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს საბაჟო სისტემის რეფორმა და შესაბამისი კადრებით დაკომპლექტება, ვინაიდან მხოლოდ საკანონმდებლო სივრცის სრულყოფა ამ ეტაპზე საბაჟო სფეროში არსებული პრობლემების მოგვარების გარანტი ვერ იქნება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

№ 267. ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 2005 წელი.

◎ გენერალისიმუსის გზა

**ბუხარინი:**
— გარი, გეშინოდეს ღვთისა, ეს ხომ სიცრუეა!..
**კაგანოვიჩი:**
— ბუხარინ... „ბოქლომი კი არ არის ძლიერი, არამედ გასაღები" — არის ასეთი ანდაზა. თავი ბოქლომი გგონია, გასაღებმა თავისი ქნა...
მეორე დღესვე ეჟოვმა სტალინს მიართვა პირზე დაყენების ოქმი, რომელსაც დაურთო ასტროვის ჩვენებანი იმის შესახებ, რომ 1932 წელს პირადად ბუხარინისაგან მიიღო დირექტივა სტალინის ლიკვიდაციის წარუმატებელი ცდის შესახებ.
**ვოროშილოვი:**
— განა მუქარა არ არის, თუ არ გამამართლებთ, თავს მოვიკლავო?
— არა, მუქარა არ გახლავთ. როგორი საშინელი სიტყვები არ თქვეს ჩემს შესახებ. ასეთ შემთხვევაში მაქვს ერთი სურვილი — პისტოლეტი საფეთქელზე მივიჭირო და ჩახმახს თითი გამოვკრა. მაგრამ ამას ვერ ვიზამ. ასე ვერ მოვიქცევი, იმიტომ, რომ მაშინვე იტყვით, აჰა, მხილებისა შეეშინდა და ტომსკივით რევოლვერი გულში დაიხალაო. ჩემი შიმშილობა — ეს არ არის მუქარა ცენტრალური კომიტეტისადმი, არამედ ეს არის დაღუპვა სიმართლისათვის, დაღუპვა ბრძოლაში.
**ბუდიონი:**
— არამზადა!..
**ვოროშილოვი:**
— სულელი! ენა შენი ნიადაგ გლუპავს შენ! გესმის, რას ლაპარაკობ?
**ბუხარინი:**
— გამიგეთ, ახლა მძიმე მდგომარეობაში ვარ!
**სტალინი:**
— ჩვენ რა, გველხინება?
**ვოროშილოვი:**
— დამიხედეთ ამ მებრძოლს! რევოლვერით სიკვდილი არ სურს, შიმშილით უნდა თავი მოიკლას, ბრძოლაში, ხედავთ?
**სტალინი:**
— ბუხარინო, რატომ მალავდი, რომ იმ მომენტში, როდესაც ბრესტის ზავის ბედი წყდებოდა, შენ ესერებს შეუთანხმდი?
**ბუხარინი:**
— ამას არ ვმალავდი. ერთხელ მემარცხენე ესერები თვითონვე მოვიდნენ ჩემთან განცხადებით, რომ სურთ ლენინის გადაყენება და ახალი ხელმძღვანელობის შექმნა, ამიტომაც შემომთავაზეს, შემოგვიერთდითო. ეს ამბავი მაშინვე ლენინს ვაცნობე. ლენინმა პასუხად მყისვე სასტიკად ამიკრძალა ამაზე ვინმესთან ლაპარაკი, პირობაც ჩამომართვა, კრინტი არ დაძრაო. სიტყვა არ გამიტეხავს, მხოლოდ ერთხელ, როდესაც თქვენთან ერთად ტროცკის წინააღმდეგ გამოვედი, შესაძლებლად მივიჩნიე ამ ფაქტის მოხმობა, როგორც მაგალითისა.
**მიქოიანი:**
— თქვენ განაცხადეთ, ცენტრალური კომიტეტისათვის არასდროს სიცრუე არ მითქვამსო. მაშინ რატომ იტყობინებოდით კულიკოვთან შეხვედრის სხვადასხვა თარიღს?
**ბუხარინი:**
— ეს ტყუილი არ არის, უბრალოდ, თარიღები ამერია.
**ხრუშჩოვი:**
— სიცრუეა!
**ეჟოვი:**
— ბუხარინო, ჩვენ გვაქვს ყირგიზეთის შინაგან საქმეთა კომისრის ლოცმანოვის წერილი, რომელიც თქვენ გეხებათ. თუ წინააღმდეგი არა ხართ, წაგიკითხავთ.
**ბუხარინი:**
— წაიკითხეთ.
ეჟოვმა წერილი წაიკითხა. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა დარბაზში.
— ეს ყველაფერი სიცრუე და პროვოკაციაა! — უპასუხა ბუხარინმა.
**ვოროშილოვი:**
— შენ ერთი ხარ ჭკვიანი, ჩვენ ყველანი ჩერჩეტები და პროვოკატორები, ხომ?!
ამით დამთავრდა მეორე პლენუმი, რომელიც მოწვეული იყო ბუხარინისა და რიკოვის საქმის გამო. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალური კომისია შექმნა.
**ბუხარინისა და რიკოვის საქმის გამო მოწვეული საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომის დადგენილება.**
**მოსკოვი, 1937 წლის 27 თებერვალი**
**მონაწილეობდნენ:**
**კომისიის თავმჯდომარე: მიქოიანი**
**კომისიის წევრები — ანდრეევი, სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ბუდიონი, ვოროშილოვი, კალინინი, კოსიორი, იაროსლავსკი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ულიანოვა, მანუილსკი, ლიტვინოვი, იაკირი, კაბაკოვი, ბერია, მირზოიანი, ეიხე, ბაგიროვი, იკრამოვი, ვარეისკისი, იაკოვლევი, ჩუბარი, კოსარევი, პოსტიშევი, პეტროვსკი, ნიკოლაევა, შვერნიკი, უგაროვი, ანტიპოვი, გამარნიკი.**
**მოისმინეს კომისიის წევრების წინადადებანი:**
**ეჟოვი — ბუხარინი და რიკოვი გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ კპ (ბ)წევრობისაგან, გადაეცენ სამხედრო ტრიბუნალს, მიესაჯოთ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.**
**პოსტიშევი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, დახვრეტა არ მიესაჯოთ.**
**ბუდიონი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, დახვრეტა არ მიესაჯოთ.**
**სტალინი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, არ გადაეცენ სასამართლოს, გადაეცენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.**
**მანუილსკი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობის და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, მიესაჯოთ დახვრეტა.**
**შკირიატოვი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, დახვრეტა არ მიესაჯოთ.**
**ანტიპოვი — მხარს ვუჭერ შკირიატოვის წინადადებას.**
**ხრუშჩოვი — მხარს ვუჭერ ამხანაგ სტალინის წინადადებას.**
**ნიკოლაევი — მეც.**
**ულიანოვა — მხარს ვუჭერ ამხანაგ სტალინის წინადადებას.**
**შვერნიკი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, დახვრეტა არ მიესაჯოთ.**
**პეტროვსკი — გაირიცხონ საკ კპ !ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, მიესაჯოთ დახვრეტა.**
**ლიტვინოვი — მხარს ვუჭერ ამხ. პეტროვსკის წინადადებას.**
**კრუპსკაია — მხარს ვუჭერ ამხ. სტალინის წინადადებას.**
**კოსარევი — გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობისა და საკ. კპ (ბ) წევრობისაგან, გადაეცენ სასამართლოს, მიესაჯოთ დახვრეტა.**
**იაკირი — მხარს ვუჭერ ამხ. კოსარევის წინადადებას.**
**ვარეიკისი — მხარს ვუჭერ ამხ. სტალინის წინადადებას.**
**ვოროშილოვი — მხარს ვუჭერ ამხ. სტალინის წინადადებას.**
**მოლოტოვი — მხარს ვუჭერ ამხ. სტალინს.**

**(გაგრძელება იქნება)**

## კორჩკენ საქტანოვი

# სტალინის შემდეგ

### პირველი ნაწილი



1936 წლის სექტემბრიდან 1937 წლის თებერვლამდე ეჟოვმა სტალინს დაპატიმრებულ „მემარჯვენეთა" დაკითხვების 60-ზე მეტი ოქმი გაუგზავნა, მათში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დიდი ხანია მიმდინარეობს მზადება ხელისუფლეისგან სტალინის გადაყენების ან განადგურებისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ბუხარინის მხილებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით 1937 წლის 23 თებერვალს გაიმართა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმი, რომელზეც მოხსენება ეჟოვმა გააკეთა. გამოსულთაგან არავის დაუცავს ბუხარინი რიკოვთან ერთად. ბუხარინს სახე წამოუჭარხლდა, როდესაც სიტყვა აიღო:
— ამხანაგებო, აქ უწინარესად არ ვეთანხმები ეჟოვისა და და მიქოიანის გამოსვლებს. მათ მტკიცებულებათა მიხედვით, თქვენი მისამართით გამოგზავნილ ჩემს წერილში თითქოს ვიყენებდე ტროცკის მეთოდებს და ვცდილობდე ცენტრალური კომიტეტის დაშინებას. ეს სწორი არ არის, იმიტომ, რომ...
**ბუდიონი:**
— მაშინ რატომ გვემუქრები შენი შიმშილობით და მოითხოვ გამართლებას?
**ბუხარინი:**
— ამხანაგებო, ნუ მაწყვეტინებთ. მიმძიმს ახლა არათუ ლაპარაკი, აქ ფეხზე დგომაც კი.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 257-262, 265-266.**

# ჯორჯ ბუში: ჩინეთს არ უნდა ეშინოდეს დემოკრატიის

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოუწოდა ჩინეთის ხელმძღვანელობას, რომ უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭოს ქვეყნის მოსახლეობას.**



ბუშმა, რომელიც მოგზაურობს აზიის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, ოთხშაბათს, იაპონიის ქალაქ კიოტოში ყოფნისას, აღნიშნა, რომ ჩინეთის ლიდერებს არ უნდა ეშინოდეთ თავისუფალი საზოგადოების.

ჩინეთში მომავალი ვიზიტის დროს შეერთებული შტატების პრეზიდენტი აპირებს განუცხადოს ჩინეთის ხელმძღვანელობას, რომ თავისუფალი საზოგადოება შეესაბამება ჩინეთის ინტერესებს და დემოკრატიის გავრცელება სასიკეთო გავლენას მოახდენს მთლიანად რეგიონზე.

კერძოდ, ბუშმა ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმსარებლობის თავისუფლებას და აღნიშნა, რომ ჩინეთმა უნდა შეცვალოს თავისი პოზიცია ამ სფეროში.

კიოტოს ბუდისტურ ტაძარში მისვლის დროს ბუშმა გაიხსენა ტაივანი, როგორც სახელმწიფო, რომელიც წარმატებით ავითარებს დემოკრატიას. ტაივანში, თქვა ბუშმა, შეიგნეს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებები ერთმანეთისგან განუყოფელია.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის წევრმა განაცხადა, რომ ბუში არ აპირებს ჩინეთს „წაუკითხოს ლექცია". მაგრამ იმაზე, თუ ჩინეთის ხელმძღვანელობა როგორ რეაგირებას მოახდენს ბუშის განცხადებაზე, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტის წარმატება, რომელიც მიმდინარე კვირას უნდა გაიმართოს.

მანამდე კი ჯორჯ ბუშმა გამართა მოლაპარაკება იაპონიის პრემიერ-მინისტრთან ძიუნიტირო კოიძუმისთან.

ბუშმა მადლობა გადაუხადა იაპონიის პრემიერს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ტოკიო უწევს ვაშინგტონს ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ოპერაციებში მონაწილეობით. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ასევე დაპირდა მხარდაჭერას იაპონიას, რომელიც ცდილობს გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

ამ მოგზაურობის ფარგლებში ჯორჯ ბუში ეწვევა ასევე სამხრეთ კორეას და მონღოლეთს.

# საფრანგეთის პარლამენტის წევრები მხარს უჭერენ მკაცრი ზომების მიღებას

**საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მოიწონა მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი კიდევ სამი თვის განმავლობაში საგანგებო უფლებამოსილებათა გახანგრძლივების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული უწესრიგობების სრულ აღკვეთას.**

ეს უფლებამოსილებები ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლებს აძლევს უშიშროების ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობებს, როგორიც არის კომენდანტის საათი, საჯარო შეკრებების აკრძალვა, აგრეთვე მოქალაქეთა სახლებში ჩხრეკა-დაპატიმრებათა განხორციელება.



ახლა ეს კანონპროექტი უნდა მოიწონოს პარლამენტის ზედა პალატამ.

მინისტრებთან შეხვედრისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ ამ საგანგებო ზომებს დროებითი ხასიათი ექნება და მათ მიმართავენ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში.

ჟაკ შირაკმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ახალგაზრდობას უნდა მიეცეს „ახალი შესაძლებლობები". პრეზიდენტის თქმით, 2007 წლისთვის საფრანგეთში შეიქმნება სამოქალაქო სამსახური, იგი მოხალისეებისგან შედგება და დაეხმარება 50 ათას ახალგაზრდას დამატებითი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებაში.

ამავე დროს, როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს გაკეთდება ქვეყანაში უშიშროებისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით, უწესრიგობათა მონაწილეებს კი დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.

შირაკმა ასევე თქვა, რომ ქვეყანაში მიიღებენ ზომებს არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ორშაბათს ღამით, საფრანგეთში დაწვეს 215 ავტომობილი, 69 მანქანით ნაკლები, ვიდრე წინა ღამეს; დააპატიმრეს 42 კაცი, როცა კვირა ღამეს დაპატიმრებულთა რიცხვმა 112 მიაღწია. ამ ციფრებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ვითარება ნელ-ნელა მშვიდდება.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ უკვე დაიწყო ათი სასამართლო პროცედურა ქვეყნიდან იმ უცხოელი მოქალაქეების გასახლების მიზნით, რომლებიც მონაწილეობდნენ უწესრიგობებში.

# ჩინეთში დადასტურდა „ფრინველის გრიპით" ადამიანის დაავადების პირველი შემთხვევა

**ეს პეკინში განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტის დირექტორმა ცი სიაოციუმ, წერდა ჰონკონგის გაზეთი „საუთ ჩაინა მორნინგ პოსტი".**

გაზეთის მონაცემებით, ჩინელმა სახელმწიფო მოხელემ ეს განცხადება გააკეთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობას.

ცი სიაოციუს თქმით, ჩინეთის დაავადებათა კონტროლისა და თავიდან აცილების ცენტრის მიერ განხორციელებული ანალიზების შედეგად, გამოვლინდა, რომ ჰუნანის პროვინციის სოფელ ვანტანის მცხოვრების, 9 წლის ბიჭის ჰე ძიუნიაოს სისხლი შეიცავს „ფრინველის გრიპის" ანტისხეულებს. ბავშვი ჰოსპიტალში მოათავსეს გასული თვის დამლევს.

ოქტომბრის ბოლო დღეებში სოფელ ვანტანში აღინიშნა „ფრინველის გრიპის" ეპიდემია, რის გამოც იქ დაიხოცა 500-ზე მეტი ქათამი. მაშინ ჰონკონგის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ორი ბავშვი მოათავსეს ჰოსპიტალში „პნევმონიის დიაგნოზით", მას შემდეგ, რაც მათ შეჭამეს მკვდარი ფრინველის ხორცი.



ჰე ძიუნიაოს 12 წლის და გარდაიცვალა, ბიჭი კი უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან.

თავდაპირველად, ჩინეთის ხელისუფლებამ გამორიცხა ბავშვის „ფრინველის გრიპით" დაავადების შესაძლებლობა, თუმცა, შემდეგ აღიარა, რომ ასეთი რამ დასაშვები იყო.

„ახლა ჩვენ ველით რეკომენდაციებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან. ამ ორგანიზაციის წესების თანახმად, დაავადების შემთხვევა ოფიციალურად უნდა დაადასტუროს ორმა ლაბორატორიამ", — აღნიშნა ჩინეთის სახელმწიფო მოხელემ.

ცი სიაოციუს თქმით, პირველად დაშვებული შეცდომა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჩინეთის ლაბორატორიებს არა აქვთ გამოცდილება „ფრინველის გრიპზე" ტესტების განხორციელების საქმეში.

ამჟამად ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ჩავიდა ჰუნანის პროვინციაში, სადაც ადგილზე გამოიძიებენ ამ შემთხვევას. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ასევე დაეხმარებიან ჩინეთის ლაბორატორიებს დამატებითი ტესტების განხორციელებაში.

# მოკლედ

**შეერთებულ** შტატებს სურს, რაც შეიძლება მალე დატოვოს ერაყი, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით ერაყელები შეძლებენ თავიანთი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას. ასეთი განცხადება გააკეთა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა პენტაგონში გამართულ პრესკონფერენციაზე. მინისტრმა აღიარა, რომ ერაყის მიმართ მიდგომაში დაშვებული იყო შეცდომები და ყოველივე ეს განმარტა არასაკმარისი სადაზვერვო მონაცემებით.

* * *

**შეერთებულ** შტატებში ბრალდებები წაუყენეს 4 ჩინელს, რომლებიც იღებდნენ საიდუმლო სამხედრო დოკუმენტების ასლებს. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააკავა 65 წლის ჩი მაკი და მისი 56 წლის ძმა ტაი



ვანმაკი, აგრეთვე მათი ცოლები, როგორც „უცხო ქვეყნის მთავრობის აგენტები, რომლებიც შეერთებულ შტატებში მოქმედებდნენ ისე, რომ ამის შესახებ წინასწარ არ შეატყობინეს იუსტიციის სამინისტროს". მათ ბრალად ედებათ კომპიუტერის იმ დისკების გატაცება და მათი ასლების გადაღება, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს ამერიკული „მომავლის საესკადრო ნაღმოსნების" ძრავების შესახებ.

* * *



**ერაყის** შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში იპოვეს 173 პატიმარი, რომლებსაც წამების კვალი ამჩნევიათ. ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჰუსეინ ქამალმა, რომელმაც ნახა ეს ადამიანები, თქვა, რომ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ასეთი „შემზარავი რამ არ უნახავს". ჰუსეინ ქამალმა აღნიშნა, რომ პატიმრებს სცემდნენ და აბუჩად იგდებდნენ. ორი მათგანი პარალიზებული იყო. ყველა დაკავებულს აშკარად ეტყობოდა წამების და შიმშილობის კვალი.

* * *

**ნიდერლანდში** მოკლეს ბეღურა, რომელიც ხელს უშლიდა მსოფლიო რეკორდის დამყარებას. ფრიზის საგამოფენო ცენტრში სპეციალური წესით აწყობდნენ ოთხ მილიონ დომინოს ქვას. ამ სამუშაოს მიმდინარეობის დროს რეკორდის დამყარების ორგანიზატორმა ფირმამ შენიშნა, რომ დარბაზში შემოფრენილმა ბეღურამ წააქცია ერთ-ერთი ქვა, რითაც კინაღამ წყალში ჩაყარა ამდენი ნაშრომნაოფლარი.

* * *



**პენტაგონმა** აღიარა, რომ ერაყში იყენებდა თეთრ ფოსფორს. მართალია, სამხედროები კვლავ ამტკიცებენ, რომ ეს აკრძალული იარაღი მათ არ გამოუყენებიათ ქვეყნის მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ, მაგრამ ფოტოსურათებზე აშკარად ჩანს ქალების და ბავშვების დამწვარი გვამები.

* * *



**NOGA-ს** მოთხოვნით შვეიცარიაში დააკავეს ძვირფასი ტვირთი: მილიარდ დოლარად ღირებული ტილოები, რომელიც პუშკინის მუზეუმს ეკუთვნის. კერძოდ, ამ ტვირთში შედის ფრანგი მხატვრების 55 საუკეთესო ნამუშევარი, რომლებიც 6 საბარგო მანქანაში იყო განთავსებული. ერთი ასეთი მანქანა დააკავეს ჟენევაში, სამი ბაზელში და ორიც — მარტინიში.

◎ ვარსკვლავი-კერპები

# სასოწარკვეთილება წარმატებისგან

**საფრანგეთი აღელვებული და შეშფოთებული ელოდა 8 ნოემბრის დადგომას. ამ დღეს პუბლიკის ნებიერს, მამაკაცური სილამაზის მრავალწლიან ეტალონს, შეუდარებელ ალენ დელონს 70 წელი შეუსრულდა. ცოტა ხნის წინათ ჟურნალ „პარი-მატჩისთვის" მიცემულ აღსარებით ინტერვიუში, რომლის შინაარსმაც მთელი მსოფლიო შემოიარა, დელონმა განაცხადა, რომ ამ თარიღის დადგომამდე მოიკლავდა თავს. „ადამიანები დარდითაც კვდებიან, — თქვა მან. — მე წარმატებისთვის ვიყავი შექმნილი და არა ბედნიერებისთვის". იგი არც ნატურალისტურ მომენტებს მოერიდა და დააზუსტა, რომ თითქოსდა მის დასაკრძალად უკვე სამარეც გათხრილია — მისი უზარმაზარი ფრანგული მამულის (ფრანგულის, ვინაიდან შვეიცარიულიც არსებობს) პაწაწა სასაფლაოზე, სადაც დამარხულია მისი 35 ძაღლი — მთელი მისი ცხოვრების ყველაზე ერთგული მეგობრები.**

რა არის ეს — შემაძრწუნებელი მეტაფორა თუ ნაღვლიანი რეალობა, კიდევ უფრო მეტად რომ გვიყინავს სისხლს ძარღვებში? შოკის მომგვრელი პიარული აქცია, რომელიც მოწოდებულია არატრივიალური სახით გამოიწვიოს ინტერესის ახალი ტალღა კერპისადმი, რომელიც აგერ უკვე შვიდი წელია ეკრანზე აღარ გამოჩენილა? ან სასოწარკვეთილების ძახილი ადამიანისა, რომელიც ყოველთვის საყოველთაო ყურადღების საგანი იყო და ახლა სურს ისეთივე ზომის საჯაროობით, როგორითაც განვლო თავისი სამსახიობო და სასიყვარულო ალმაფრენათა მონაკვეთები, განვლოს მისი საფინალო ხვეულიც. ის, რაც მან მართლა ჩაიფიქრა და ახლა ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ემზადება? ან იქნებ ეს უბრალოდ ნერვული ჩავარდნაა და სხვა არაფერი? თავისი განშიშვლებულობით ესოდენ იშვიათი ინტერვიუ დღის ან კვირის სენსაციად არ დარჩენილა, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა, იგი კვლავაც აღელვებს ხალხს, ამ ინტერვიუზე დღესაც მსჯელობენ და ამასთან ამ არაორდინარული სიტუაციის ანალიზში ერთვებიან ფსიქოანალიტიკოსებიც, კინომცოდნეებიც, ხელოვნების ისტორიკოსებიც, რომლებიც ცდილობენ კერძო, გამონაკლის შემთხვევაში რაღაც ზოგადი კანონზომიერებები დაინახონ.

დელონის შემოქმედებაც და პირადი ცხოვრებაც ღვთივრჩეულობის რაღაც ნიშნით არის აღბეჭდილი, რამეთუ ისე განვლოს ადამიანმა თავისი გზა, რომ ყოველთვის და ყველაფერში წარმატებას აღწევდეს, ისე რომ, არსებითად, არცერთი მარცხი არ განიცადოს და მიაღწიოს ყველაფერს, რაზეც კი ადამიანს ოცნება შეუძლია — ასეთი რამ პრაქტიკულად არ ხდება. მით უმეტეს, ხელოვნებაში. იგი თამაშობდა იმ როლებს, რომლებიც უნდოდა, მონაწილეობდა იმ რეჟისორების ფილმებში, რომელთა ფილმებშიც უნდოდა გადაღება (სულ მას ოთხმოცდაათამდე ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული), უყვარდათ იმ ქალებს, ვინც უყვარდა, მას მხოლოდ ოვაციები ახლდა და არასდროს — დამპალი პომიდვრები. კერპის იმიჯი არც მისი ცოლის, ნატალის სავარაუდო (მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდო) საყვარლის, მცველის სტეფან მარკოვიჩის მკვლელობასთან დაკავშირებულ ეჭვებს შეულახავს. აღიარებული იყო პუბლიკის მიერაც და კოლეგა-პროფესიონალების მიერაც, რაც, როგორც ცნობილია, ყველაზე ძნელი რამაა. გასაოცარმა ჰონორარებმა საშუალება მისცეს მას წარმოებაში ჩაეშვა მისი სახელწოდების საათი და სუნამო, შეექმნა ფეხსაცმლის, ავეჯის და ტანსაცმლის მაღაზიების ქსელი. იგი ფუფუნებაში ცხოვრობდა და არაფერს იკლებდა. ასე იყო ყოველთვის. ან თითქმის ყოველთვის, და აი ამ „თითქმისში" ხომ არ არის დაფარული გამოცანის ამოხსნა?

მის იმ ქალებს შორის, რომელთა შესახებ მთელმა მსოფლიომ იცოდა, იყვნენ რომი შნაიდერი და მირეი დარკი. როდესაც დრო მიდიოდა და ქალები ბებრდებოდნენ, ის მათ ტოვებდა. ის მათ და არა ისინი — მას... სამაგიეროდ ბოლო ცოლმა, მისი ორი შვილის დედამ, ყოფილმა „მის ჰოლანდიამ", მემანეკენე როზალი ვან ბრეემენმა, არა მარტო კარი გაიჯახუნა და შვილებიც თან წაიყვანა, არამედ მის მეგობარს, არც ლამაზმანსა და არც ცნობილ ადამიანს — მრეწველ ალენ აფლელს გაჰყვა, დელონი კი მისი სიმდიდრის, სახელისა და მამულების, ძაღლებისა და მსახურთა ამარა, ანუ სულ მარტო დატოვა. ასეთი ბედის, ასეთი ხასიათის, ასეთი ნერვული სისტემის მქონე ადამიანისთვის, რომლისთვისაც სტრესები და წყენები უცხო იყო, ეს წელს ქვევით მიყენებული დარტყმა გამოდგა და უმრავლესობაც — ყოველ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული „ფართო პუბლიკა" — სწორედ აქ ხედავს ვარსკვლავის დეპრესიის მთავარ, ის კი არა, ერთადერთ მიზეზსაც კი. მაგრამ ყველაზე სერიოზული ანალიტიკოსები კი იმ მოსაზრებისკენ იხრებიან, რომ მიზეზი გაცილებით ღრმაა, — სწორედ ამიტომ „დელონის შემთხვევა" საზოგადოებრივ ყურადღებას იმსახურებს და მას სხვადასხვა ჯურის ცნობილ ადამიანთა თავგადასავლების უსასრულო წყებიდან გამოჰყოფს, ყვითელ პრესას ასე რომ უყვარს. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ დელონის დრამაზე მხოლოდ ყვითელი პრესა არ მსჯელობს.



მისი ბიოგრაფები დელონში მის ბუნებრივ ჭკუას, ნიჭს, ძლიერ ხასიათს აღნიშნავენ, რომელიც ასე მოტყდა იმ ძლიერი დარტყმისგან, მის თავმოყვარეობას რომ მიაყენეს, მოტყდა თუნდაც მოტყუებული სიყვარულის გამო. მაგრამ მაინც რა ნებელობაა ასეთი, რომელიც აიძულებს ადამიანს უმარტივესი გამოსავალი ეძებოს მდგომარეობიდან, რომელშიც გაცილებით ნაკლები ნებისყოფის ადამიანებიც აღმოჩენილან, ისეთები, რომლებიც მოკლებული არიან ყოველივე იმას, რაც საშუალებას იძლევა ცხოვრებისეული ქარტეხილების დროს არ ჩაიძირონ და შვება ჰპოვონ სამუშაოში, რომელშიც ვის ვის და ალენ დელონს არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია? ხომ არ არის მოცემულ შემთხვევაში საუბარი მეტად ღრმა შემოქმედებით კრიზისზე, რომელიც ასე მძიმედ გადასატანი გამოდგა სწორედ იმიტომ, რომ ჭკვიან, ნიჭიერ და ნებისყოფიან ადამიანს დაატყდა თავს? ხომ არ განიხიბლა დელონი, როცა შედეგები დააჯამა და კრიტიკულად გადახედა თავის შემოქმედებით გზას, იმით, რისი დატოვებაც შეეძლო თავის შემდეგ? არა თაყვანისცემა, არა ყვავილები, არა ჯილდოები და პრემიები, არა ჰონორარები, არა პრესა, არამედ როლები? ის როლები, რომლებიც მის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს და იმ დროის შემდეგაც, როდესაც მან ისინი ითამაშა? მას იღებდნენ უდიდესი რეჟისორები (საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ვისკონტი, ანტონიონი, გოდარი, ლოუზი, მელვილი, კლემანი...), ის მუშაობდა გაბენთან, მონტანთან, ვენტურასთან, ლანკასტერთან ერთად... ამას რომ იხსენებს, დელონი ყოველთვის ლაპარაკობს წარმატებაზე, რომელიც მას თან სდევდა, მაგრამ არ ლაპარაკობს იმ დაუვიწყარ სახეებზე, რომელთა შექმნაც მან შეძლო. იქნებ იმიტომ, რომ ისინი დასავიწყარია?..

საწყენია, რომ კინოდან წასულმა, რომლის ჟამი, როგორც ის თვლის, უკვე დასრულდა და რომელმაც ტელევიზიას დაუთმო ადგილი, დელონმა ვერც „ახალ" ხელოვნებაში იპოვა საკუთარი თავი და ვერც „ახალ" საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ეს სხვა მის კოლეგებსა და მეგობრებს (თუნდაც ბრიჯიტ ბარდოს) დაემართა. და თავისი ზღაპრული კარიერის შემდეგ საუკუნეთა და ათასწლეულთა მიჯნაზე მოუკითხავი აღმოჩნდა. თუ პრესით ვიმსჯელებთ, ასეთივე დრამას განიცდიან სხვა არა ასე თვალსაჩინო ფიგურები კინოსა და თეატრის სამყაროდან, რომლებსაც მოგონებებიღა დარჩენიათ, რაც თავისთავად ხელს უშლის მკვეთრად ცვალებად, ძალზე არამყუდრო სამყაროში ჩაწერაში. „არა ასე თვალსაჩინოთაგან" დელონი, იმით მაინც განსხვავდება, რომ იგი ამას ნათლად აცნობიერებს და მას იმდენი ვაჟკაცობა ყოფნის, რომ ეს აღიაროს.

საფრანგეთს იმედი აქვს, რომ მუქარა, რომლითაც დელონმა ასე შეაშინა ყველა, მაინც ასცდება მასაც, და იმათაც, ვისთვისაც იგი ძველებურადვე ძვირფასია.

**არკადი ვაქსბერგი**
**პარიზი.**

ურთიერთობა

# „წმინდა ანთიმოზ ივერიელის მედალი“ - რუმინელ მწერალს

**ანთიმოზ ივერიელის სახელობის სკოლაში რუმინელი მწერლის და მისი ქართველი მეუღლის სტუმრობას, ბუქარესტში გამოცემული მათი წიგნის „ოქროს ძაფები ცხვრის ტყავზე — ნათელას მოთხრობების“ შინაარსის გაცნობა მოჰყვა. ასეთი სტუმრიანობა საქართველოში რუმინეთის საელჩოს ხელშეწყობით თბილისის 166-ე სკოლაში ხშირად იმართება. სტუმრებს რუმინეთიდან თან ახლდნენ საქართველოში რუმინეთის ელჩი კონსტანტინ გირბეა, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, მწერალი რევაზ მიშველაძე, პოეტი მზია ხეთაგური და სხვები. შეხვედრას სკოლის დირექტორ ნანა კვირიკაშვილთან ერთად თვით ელჩი — კონსტანტინ გირბეაც უძღვებოდა.**

რუმინელმა მწერალმა ვიქტორ ფრუნზეამ დამსწრეთ თავად უამბო წიგნის „ოქროს ძაფები ცხვრის ტყავზე — ნათელას მოთხრობების“ შინაარსი:

— მინდოდა საქართველოსთვის რაღაც გამეკეთებინა და ჩემი მეუღლის ნაამბობები წიგნად გამოვეცი. რუმინეთში რომ შეიტყვეს, წიგნი ანთიმოზ ივერიელის სამშობლოს ცხოვრებას ეხებოდა, უმალ გაიყიდა, — განაცხადა ვიქტორ ფრუნზეამ, — ანთიმოზ ივერიუსი, როგორც მას ჩვენთან პატივისცემით მოიხსენიებენ, რუმინეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ჩემი მეუღლე ნათელა სულაკაძე თბილისში გაზრდილია, სკოლაც აქ დაამთავრა. მისი დახმარებით კარგად ვიცნობ ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებას — საქართველოს წარსულს და მის სამომავლო მისწრაფებას. ჩაუშესკუს კომუნისტური წყობილების დროს სიმართლის თქმა არ მაპატიეს, სამშობლოდან დანიაში გადავიხვეწე. დღეს ჩემს ნაწარმოებებს დანიისა და რუმინეთის მცხოვრებლები კითხულობენ. ამჟამად ანდერსენის ზღაპრების ექსპონატების ექსტომეულზე ვმუშაობ. მისი გამოცემისთანავე ექვსტომეულსაც ამ სკოლის ბიბლიოთეკას გადავცემ. საქართველოში რუმინეთის ელჩი კონსტანტინ გირბეა მპირდება, რომ ჩემი წიგნი „ოქროს ძაფები ცხვრის ტყავზე — ნათელას მოთხრობები“ მალე ქართულად ითარგმნება. წიგნი ხომ ბავშვივითაა, მას მზრუნველობა სჭირდება.

... რუმინეთის ელჩმა კონსტანტინ გირბეამ დამსწრეთ თავისი ქვეყნის წინაშე ანთიმოზ ივერიელის დამსახურება შეახსენა, უთხრა, რომ საქართველო და რუმინეთი შავი ზღვის აუზის ქვეყნებს მიეკუთვნება. წარმოშობით ქართველი ანთიმოზ ივერიელი ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ედგა სათავეში. რუმინელი ხალხი დიდი მადლიერებითაა მისდამი გამსჭვალული. მან მოახერხა, რომ წირვა-ლოცვა რუმინულ ენაზე წარმართულიყო. ანთიმოზ ივერიელმა, იმ დროს ჩვენი ქვეყნის პატრიარქმა და დიდად განსწავლულმა პიროვნებამ, რუმინულ, თურქულ და ბერძნულ ენებზე 67 წიგნი გამოსცა.

საქართველოში რუმინეთის საელჩო ცდილობს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უფრო გაღრმავდეს. რუმინეთი ევროკავშირის წევრია, ვიცით, რომ თქვენი ქვეყანაც აქეთ ისწრაფვის, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროკავშირში, ნატოში გაწევრიანებას, თქვენთან ამის ყველა პირობა არსებობს, მზად ვართ თქვენს დასახმარებლად. რუმინეთსა და საქართველოს უძველესი კულტურა აქვთ, რომელთა წარმოჩენაც აუცილებელია.

სკოლის დირექტორმა ნანა კვირიკაშვილმა მწერალს ვიქტორ ფრუნზეას „წმინდა ანთიმოზ ივერიელის მედალი“ გადასცა. ამ მედლით ჯილდოვდება ყველა, ვინც ხელს შეუწყობს რუმინეთთან ამ სკოლის დაახლოებას.

**ნათელა ფაილოძე.**

მიწისძვრა ჩვენს სულებში

# „ფანჯრიდან რომ გავიხედავთ, თავზე გვესხმება ყავა, მაწონი, ხან კი – ის ოხრობა“...

## ჩანაწერები ნევროლოგიის ინსტიტუტიდან

**2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის შემდეგ უამრავი ადამიანი დარჩა თავის დაბზარულ, ნახევრადდანგრეულ სახლში. ამ ადამიანებმა, როგორც შეიძლეს, აღადგინეს და შეალამაზეს თავიანთი საცხოვრისი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთა სახლების აღდგენა აღარ ხერხდებოდა. ამ ადამიანთა ნაწილი მაშინდელმა მერიამ ნევროლოგიის ინსტიტუტის შენობაში შეასახლა.**

როგორ ცხოვრობენ ისინი, ვინც სტიქიას გადაურჩა? რა მდგომარეობაში არიან ახლა? — ეს ყოველივე კარგად ირკვევა მათივე მონათხრობიდან:

**გელაშვილი გულთამზე:** ვცხოვრობდი ზედაზნის ქუჩაზე, № 38-ში. მიწისძვრის ეპიცენტრი ჩვენთან ახლოს იყო და 45 ოჯახი გამოგვასახლეს. არ იცხოვრება იქ. მეწყერსაშიში ზონაა, ნიადაგიც დაძრულია და სახლიც ინგრევა. რომც გავარემონტოთ, აზრი არა აქვს. ჩემი სახლი III კატეგორიას მიაკუთვნეს.

აქ 3 თვით შემოგვასახლეს და უკვე სამი წელია ვცხოვრობთ. გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ — არ ვიცით, როდის გვეტყვიან, წადით, დაცალეთო. ეს მიწისძვრა, მგონი, ჩვენს ჭირად მოხდა.

თენდება და ღამდება ამ გაურკვევლობაში. გვითხრან, რა ვადითა ვართ აქ. ისე კი ჩემს დანგრეულ სახლში ღამის გათევა მირჩევნია აქ ცხოვრებას.

**გიორგი ტაბატაძე** (ისიც ზედაზნის ქუჩაზე ცხოვრობდა, 44-ე ნომერში): ჩემი სახლიც III კატეგორიას მიაკუთვნეს. ის მთლიანად დაიბზარა, კუთხეებში კი დაიხსნა. ჩვენი ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია მეწყერსაშიშია. აქ არც დაშენება შეიძლება, არც მიშენება. აქაც ჰაერში ვართ: არც ორდერი გვაქვს, არც საბუთი, რაიმე პერსპექტივაც არ ჩანს. გამგეობაც არაფერს ამბობს. არის პრობლემები ელექტროენერგიით მომარაგებაში. ოფიციალურად ჩაგვიჭრეს დენი იმიტომ, რომ ვერ გადაწყვიტეს, როგორ გადაგვეხადა: ჩვენ გვინდოდა ინდივიდუალური მრიცხველების დაყენება, რაც არ მოხერხდა. არადა, მე თუ ვერ ვიხდი გადასახადს, მეზობელს რატომ უნდა ჩაუჭრან დენი?

— დაგეხმარათ ვინმე?

— 50 ლარი მოგვცეს თავიდან, სხვა ჩვენთვის არაფერი მოუციათ. აქაც თვითონ აკეთებს და არემონტებს ხალხი თავის საცხოვრებელს...

ბევრი უცნაური რამ ვნახე და გავიგონე ნევროლოგიის ინსტიტუტში: თურმე შეიძლება ოჯახმა ორსართულიანი საწოლი „აიშენოს“, რომ გამოყოფილ ერთი ციდა ოთახში დაეტიოს როგორმე (ასე მოიქცა სვეტა რუხაძე, რომელიც აქ თავის 5 შვილთან და მეუღლესთან ერთად ცხოვრობს),




თურმე ტუალეტშიც შეიძლება იცხოვროს ადამიანმა (!) და ეს მაშინ, როცა ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ძაღლს ან კატას არ აკარებს ცივ ნიავს (!) დიახ, **მზია კუპრაშვილი** მიწისძვრით დაზარალებულია და არც მეტი, არც ნაკლები — ყოფილ ტუალეტში ცხოვრობს!

— ჯავის ქუჩაზე ვცხოვრობდი. მიწისძვრის შემდეგ ჩემი სახლი უარესად დაიშალა. 3 წელი ვცხოვრობდი იქ, ზუსტად 3 წელი დავდიოდი თხოვნით, მაგრამ არავინ მეხმარებოდა. ვერც ერთ გამგებელთან ვერაფერს გავხდი. მარტო ერთი ღვთისნიერი კაცი დამეხმარა გამგეობაში — გვარად ზარდიაშვილი იყო. ეს ფართი მომცეს და ახლა გაუქმებულ საპირფარეშოში ვცხოვრობ. ამისთვისაც მადლობელი ვარ. მეუღლეც უმუშევარია და მეც. 31 წლის ბიჭი მყავს. ის სოფელშია ბიძებთან. ძალიან ცუდ პირობებში ვართ, ოთახში კანალიზაციის მილიც კი ჩამოგვდის, მაგრამ ყველაზე მეტად იცით რას ვდარდობ? — მეუღლეს რომ რამე მოუვიდეს, სირცხვილით ტუალეტიდან როგორ გამოვასვენო?!

* * *

**ბევრი**, ძალზე ბევრი სათქმელი აქვთ ნევროლოგიის ინსტიტუტში შეხიზნულ ადამიანებს. ჩვენ გავაგრძელებთ მათზე საუბარს, მაგრამ ახლა არ შემიძლია არ მოგითხროთ ამ ხალხის კიდევ ერთ სატკივარზე: ინსტიტუტის XI სართულზე სველი წერტილები საერთოდ არ არის. არადა, იქ შესახლდნენ აფხაზეთიდან ლტოლვილები: „ჩვენ ვერავის თითს ვერ დავადებთ, მაგრამ ზედა სართულებიდან პარკებით ისვრიან ნაგავს, ფეკალურ ოხრობას, ასე რომ, თუ საღამოს თავს გარეთ გაყოფ — შეიძლება გადაგესხას ნებისმიერი რამ: მაწონი, ყავა, შარდი და ა.შ.“... (მოგვითხრობს **ლალი შენგელია,** რომელიც აქ ცხოვრობს და რომელზეც შემდეგ წერილში გვექნება საუბარი).

და კიდევ, არ შემიძლია არ გიამბოთ ერთ ლამაზ ოჯახზე, რომელიც ბედისწერამ არ დაინდო და ამ ინსტიტუტის ხიზნად აქცია. გიული მაისურაძეს და მის ოჯახს 25 აპრილის მიწისძვრასთან არანაირი კავშირი არა აქვს. — „1995 წელს, როცა „მხედრიონი“ ბობოქრობდა, ჩვენ ვცხოვრობდით ღრმაღელის მეტროსთან ახლოს, საკუთარ ბინაში“, — მოგვითხრობს ის, — ჩემს მეუღლეს „კალონკა“ ჰქონდა. „მხედრიონმა“ 4 ტონა ბენზინი წაგვართვა. ვალში ჩავვარდით. ან ფული უნდა მიგვეცა, ან ჩემი მეუღლე მოეკლათ ბენზინის მეპატრონეებს. რა უნდა გვექნა — გავყიდეთ ბინა და ვალი გავისტუმრეთ. იმ ამბის შემდეგ ხან სად ვცხოვრობთ და ხან — სად. ბოლოს აქ შემოვსახლდით. 5 სული ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობთ. უკვე ნერვები მღალატობს. ის შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, ჩემი შვილები საკუთარ ჭერქვეშ იქნებოდნენ და ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა“.

— ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ უპატრონო ქვეყანაში მოხდეს — ჩივიან მიწისძვრით დაზარალებულნი!

— სანამდე უნდა იყოს ეს ქვეყანა და აქ მცხოვრები უბრალო ხალხი დაუცველი, უსუსური, უპატრონო? — კითხულობენ ისინი და მეც, დაბნეული, თვალს ვარიდებ, თითქოს მთავარი დამნაშავე ყველაფერში მე ვიყო!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ინფორმაცია

## გლეხები მიწას ითხოვენ

**სახელმწიფო კანცელარიასთან მარნეულის რაიონის სოფელ დამეგიურახის მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ხელისუფლებას მათი სახნავ-სათესი მიწით დაკმაყოფილებას სთხოვს. როგორც დამეგიურახის მოსახლეობა აცხადებს, მათ რაიონში, ისევე როგორც სოფელში, მიწების დიდი რაოდენობა არენდით არის გაცემული ამა თუ იმ პირებზე და სოფლის ძირითადი მოსახლეობა, ფაქტობრივად, მიწის გარეშეა დარჩენილი.**

**როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ისინი უკვე მესამედ არიან სახელმწიფო კანცელარისთან, მიუხედავად ამისა, მათი პრობლემებით ჯერჯერობით არავინ დაინტერესებულა.**



## უმაღლესი სასწავლებლები „გამოცდას“ აბარებენ

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის განაცხადების მიღება დაიწყო. სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ განაცხადების მიღება 28 ნოემბრამდე გაგრძელდება.**

**აღნიშნული პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს 2006 წლიდან განესაზღვრებათ აკრედიტაციის სტატუსი და მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი 2006-2007 სასწავლო წლისათვის. აკრედიტებულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომელთაც დადგენილი კონტინგენტის შეცვლის სურვილი აქვთ, ხელახლა უნდა წარმოადგინონ აკრედიტაციაზე განაცხადი.**

**ინტერპრესნიუსი**

## სამიტი ტუნისში

**საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია და პროგრამა „ირმის ნახტომის“ კოორდინატორი მერაბ ლაბაძე ტუნისში გაემგზავრნენ. ისინი საინფორმაციო საზოგადოებების მსოფლიო სამიტს დაესწრებიან, რომელიც გაეროს „საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირის“ ინიციატივით და გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის პატრონაჟით ტარდება. მისი მიზანია, უზრუნველყოს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისათვის.**

**მედიანიუსი**

## განცხადება

**მიმდინარეობს შპს „ფარმაკონის“ ლიკვიდაცია.**

დაინტერესებულ პირებს (სავარაუდო კრედიტორებს) შეუძლიათ მიმართონ საწარმოს ლიკვიდატორს ქალბატონ თამარ კალმახელიძეს, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №25.**

ბანკი

# საერთაშორისო რეიტინგი იზრდება

**ამ დღეებში პროკრედიტ ბანკს საქართველოში ყველაზე მაღალი საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა. როგორც ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ასმუს როტნემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, სააგენტო „Fitch“-ის ახალი „B“ საერთაშორისო რეიტინგი შარშანდელი წლის ccc+რეიტინგს ორი პუნქტით აღემატება. ეს გახლავთ საქართველოში შესაძლო ყველაზე მაღალი საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბანკისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისათვის, რადგანაც სააგენტო „Fitch“-ის შეფასებით საქართველოში ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესების ტენდენციას ასახავს. ასმუს როტნეს განმარტებით, „საერთაშორისო რეიტინგი — ეს არის ერთ-ერთი გზა, რომლის საშუალებით კლიენტები განსაზღვრავენ, თუ რომელი ბანკია ფინანსურად ყველაზე მდგრადი და საიმედო. რეიტინგის ზრდა მიუთითებს, რომ ბანკი ვითარდება და იღვწის საერთაშორისო საბანკო სტანდარტებისაკენ“.**

შედეგები ასეთია: პროკრედიტ ბანკმა წარმატებით დაასრულა საქართველოში კორპორატიული ობლიგაციების ყველაზე მსხვილი ემისია. შემოთავაზებული 7 მილიონი ლარის მოცულობის ობლიგაციებიდან 77 პროცენტი შესყიდულია. ეს გახლდათ დისკონტური ობლიგაციები, რომელთა ვადაა 364 დღე, ხოლო წლიური სარგებელი — 14 პროცენტი, ობლიგაციებზე ხელმოწერის ვადა 8 ნოემბერს დასრულდა.

კორპორატიული ობლიგაციების ემისია მნიშვნელოვანი მოვლენაა ბანკისთვის, რადგანაც ამონაგები თანხა მოხმარდება კიდევ უფრო მეტი მცირე ბიზნესსესხის გაცემას ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, ეს არის საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

**ლალი ქინქლაძე**

მეცნიერება

# 20 წლის მანძილზე 31 ქვეყნის 100 მეცნიერი ქმნიდა

## ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის რუკის შესახებ

**გერმანიის ბუნების დაცვის ფედერალურმა სამსახურმა გამოაქვეყნა ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის რუკა (მასშტაბი — 1:2500000). მას თან ახლავს — ცალკე წიგნების სახით (გერმანულ და ინგლისურ ენებზე) — რუკის ლეგენდა (153 გვ.) და ტექსტი ევროპის მცენარეულობის შესახებ (655 გვ.).**

ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის რუკის შექმნაში ევროპის 31 ქვეყნის 100-ზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა. მუშაობა 20 წელიწადს გრძელდებოდა. ცივი ომის პერიოდში ეს იყო „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ სამეცნიერო თანამშრომლობის იშვიათი წარმატებული ცდა.

მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის რუკის კავკასიის ნაწილი შეადგინეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დ. ბედოშვილმა, ა. დოლუხანოვმა, ნ. ზაზანაშვილმა, მ. ივანიშვილმა და გ. ნახუცრიშვილმა. ავტორებს საქმე იმან გაუადვილა, რომ უკვე არსებობდა კავკასიელი ბოტანიკოსების (ნ. კეცხოველი, ლ. პრილიპკო, მ. სახოკია და სხვ.) მიერ შექმნილი ანალოგიური რუკა და ტექსტი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის მცენარეულობის რუკისთვის (გამოქვეყნებულია 1980 წ.). მაგრამ ახალი რუკის შედგენისას გამოყენებული იყო მცენარეულობის კარტოგრაფიის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები.

ჩვენი ბოტანიკოსების მონაწილეობა ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის რუკის შექმნაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის დადასტურებაა.

ბუნების დაცვისა და ლანდშაფტების მენეჯმენტის სფეროში ამ რუკის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებია:

— ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის იერარქიული კლასიფიკაცია არის ერთიანი სახელმძღვანელო მცენარეულობის ერთეულების ტიპის განსაზღვრისთვის, ორიენტირი ბუნების დაცვითი და სამეურნეო გეგმების შემუშავებისთვის, დაცული ტერიტორიების სისტემის მონიშვნისა და შევსებისთვის.

— რუკის საფუძველზე შესაძლებელია ევროპის ეკოლოგიური ლანდშაფტების კლასიფიკაცია, მცენარეული საფარის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება. ბუნებრივი მცენარეული რესურსების იდენტიფიკაცია. ეკოლოგიური მონიტორინგის ქსელის შექმნა, მცენარეულობის დაცვისა და სისტემატური აღდგენის ღონისძიებების შემუშავება.

— ცალკეული ქვეყნების პასუხისმგებლობის განსაზღვრა მცენარეულობის გარკვეული ერთეულების დაცვის საქმეში და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერების მოღვაწეობა მცენარეულობის კარტოგრაფიის დარგში ამ რუკის შედგენაში მონაწილეობით არ ამოიწურება — უკანასკნელ წლებში მათ მიერ შემუშავებულია კოსმოსური ფოტოინფორმაციის საფუძველზე საქართველოს მცე-




ნარეულობის კარტოგრაფიის მეთოდიკა; შექმნილია საქართველოს მცენარეულობის ეკოლოგიური რუკა; დასავლეთ საქართველოს მცენარეულობის მიმოხილვითი რუკა; აჭარის ატლასისთვის: აღდგენილი მცენარეულობის რუკა, თანამედროვე მცენარეულობის რუკა და ბუნებრივი მცენარეულობის ეკოლოგიური რუკა; კოლხეთის დაბლობის მცენარეულობის რუკა და სხვ.

**გიორგი ნახუცრიშვილი,**
**ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოსა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი.**

აკრძალული ზონა

# საქმე სანანებლად არ გავიხადოთ

**ამ ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებით ხშირადაა საუბრები იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს საერთოდ გაუქმების და მისი დანიშნულება-ფუნქციების შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ პატიმრები მკურნალობას გაივლიან არა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, არამედ სამოქალაქო საავადმყოფოებში.**

ცნობისთვის აღვნიშნავ, რომ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო მთელ გარე პერიმეტრზე უზრუნველყოფილია საინჟინრო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, გამაფრთხილებელი სიგნალიზაციით, უფრო მეტიც, გარე პერიმეტრზე განლაგებულია სათვალთვალო კოშკურები, რომლებზედაც დგანან ავტომატებით შეიარაღებული გუშაგები. ყოველივე ეს მინიმუმამდე გამორიცხავდა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან სპეცკონტინგენტის გაქცევას.

ბუნებრივია, ისმის კითხვა — ვინ და როგორ განახორციელებს ავადმყოფი ეჭვმიტანილის, პატიმრის, განსაკუთრებით კი რეციდივისტის მკურნალობის პერიოდში მათ პერსონალურ დაცვას, მუდმივ თვალთვალს, კონტროლსა და ზედამხედველობას, რომ არ მოხდეს რაიმე დანაშაულებრივი ექსცესები და, რაც მთავარია, გაქცევები? კითხვა მოითხოვს არგუმენტირებულ და დასაბუთებულ პასუხს.

აქვე დავსძენ, რომ პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი დასავლეთის ცივილიზებულ და სამართლებრივ ქვეყნებში, ყველა ეჭვმიტანილმა ან აღიარებულმა დამნაშავემ, რომელიც ავადმყოფობის გამო საჭიროებს მკურნალობას, ამდაგვარი აუცილებლად უნდა გაიაროს ციხეში, რომელიც აღჭურვილია ავადმყოფობის მოკვლევის, ანალიზისა და ზუსტი დიაგნოზის დადგენისთვის საჭირო თანამედროვე სახის სამედიცინო ტექნიკითა და აპარატურით, აგრეთვე მაღალკვალიფიციური მედიკოსებით. ასე და ამგვარად უნდა იყოს დაცული და გარანტირებული პატიმართა უფლებები, რომ მათ, საჭიროების შემთხვევაში, ჩაუტარონ მკურნალობა და შემდგომში კვლავ გააგრძელონ სასჯელის ვადის მოხდა...

2004 წლის აპრილში პასპორტების გაკეთება-გასაღებისთვის დააკავეს ვინმე



ქელეხსაშვილი (გვარი ყველგან შეცვლილია — **გ. ჩ.**). მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ის ცოტა ხნით მოათავსეს საგამოძიებო იზოლატორში, ხოლო შემდეგ, მისი ავადმყოფობიდან, თუ ავადმყოფობის სიმულაციიდან გამომდინარე, გადაიყვანეს ჯერ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ შპს „ადაპტის“ ანგიოკარდიოლოგიურ კლინიკაში, მის რეანიმაციულ განყოფილებაში. აი, აქ ხდებოდა ქელეხსაშვილის მკურნალობა, მოვლა-პატრონობა და გუშაგების მხრიდან მისი დაცვის უზრუნველყოფა, რომ ეჭვმიტანილი არ გაქცეულიყო. პალატაში მონაცვლეობით იმყოფებოდნენ ეჭვმიტანილის მეუღლე და თანამდგომი ნათესავი ქალი, ხშირი იყო ნათესავ-ახლობლების მოსვლა-წასვლა, აგრეთვე მომსახურე სამედიცინო პერსონალის გაუთავებელი გადაადგილება და ა. შ., ე. ი. კლინიკა გადაქცეული იყო გასავლელ ეზოდ.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი 20 დღის განმავლობაში იმყოფებოდა კლინიკაში. ამ ხნის მანძილზე ქელეხსაშვილს პალატაში რიგ-რიგობით ყარაულობდნენ და მას უთვალთვალებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გაგზავნილი გუშაგები, უფრო სწორედ, არა პროფესიონალი გუშაგები, არამედ დეპარტამენტის თანამშრომლები, სამი ოფიცერი, კაპიტანი და ორი ლეიტენანტი.

ერთ-ერთმა ლეიტენანტმა წინასწარ არ იცოდა, თუ რაში მდგომარეობდა მისთვის მიცემული კონკრეტული დავალების არსი, არ იყო ჩატარებული სავალდებულო ინსტრუქტაჟი და, აქედან გამომდინარე, მას ხელი არ აქვს მოწერილი დაცვისა და ბადრაგირების უწყისზე. შპს „ადაპტის“ ანგიოკარდიოლოგიურ კლინიკაში სამი გუშაგი სათანადოდ ვერ დაიცავდა ეჭვმიტანილს პალატაში, იმის გამო, რომ ერთი კაცი ასრულებდა უშუალოდ გუშაგის ფუნქციებს, ხოლო მეორე და მესამე გუშაგი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საფუძველზე მეზობელ ოთახში ისვენებდნენ. არ იყო დაცული გუშაგთა შეცვლისას ერთმანეთზე დაცვის გადაბარება აქტით ან ოქმით. გუშაგთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ქმედითუნარიანობაზე დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურიდან არ იყო დაწესებული საჭირო კონტროლი და ზედამხედველობა.

ასე რომ, არაკონტროლირებადი გუშაგები ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებულები, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი. იმის გამო, რომ არ დაიცვეს გუშაგთა შეცვლის გრაფიკის თანამიმდევრობა, სახელდობრ, ერთ-ერთმა გუშაგმა თავისი უშუალო მოვალეობის შესრულება რამდენიმე წუთის დაგვიანებით განიზრახა, ამით ისარგებლა ეჭვმიტანილმა და „თავს უშველა“. ასე და ამგვარად, ქელეხსაშვილმა ჩაიდინა მეორე დანაშაული, რომელიც კვალიფიცირდება პატიმრობიდან გაქცევით. მასზე გამოცხადდა ძებნა, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს.

ქელეხსაშვილმა კლინიკაში ოცი დღის განმავლობაში იმკურნალა, დაისვენა და ფიზიკურად ისე მომაგრდა, რომ თავს გაქცევით უშველა. გამორიცხული არ არის, რომ მას ბევრი დამხმარე გამოუჩნდა, მაგრამ, მთელი ბრალდება მისი გაქცევისთვის გუშაგოფიცრებს დაატყდა თავს. სამივე გუშაგის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით მათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ. და ეს მოხდა მთავარი დამნაშავის გამოჩენამდე. უშედეგო ძებნა თითქოსდა მიმდინარეობდა, მაგრამ თვით განსასჯელმა „ივაჟკაცა“, გამოცხადდა და ჩაბარდა სამართალდამცველებს. ამან გადაარჩინა, თუ სხვა რამემ ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქელეხსაშვილს სასამართლომ 4 წლით პირობითი სასჯელი აკმარა.

ახალგაზრდა გუშაგ-ოფიცრები „განტევების ვაცებად“ გამოიყვანეს. ისინი სასჯელის მოხდის შემდეგ პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მათ ნასამართლობის იარლიყიც მიაკერეს და მომავლის რწმენაც დაუკარგეს.

ვინ მოთვლის, ამის მსგავსი რამდენი ფაქტი მოხდება, თუკი ციხის საავადმყოფო სამოქალაქო ფორმით „აღიჭურვა“.

**გურამ ჩხიკვაძე.**

ლიტერატურული მოზაიკა

## დიდი ბრიტანეთი

# დოქტორ ჯონსონის წარმოუდგენელი ლექსიკონი



**ინგლისის პრესაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ინგლისელი ჰენრი ჰითჩინგსის გამოკვლევამ „წარმოუდგენელი ამბავი წიგნისა, რომელმაც ახალი წარმოდგენა მოგვცა სამყაროს შესახებ“ (გამომცემლობა „ჯონ მიურრეი“). წიგნის დასტამბვა დაემთხვა სემიუელ ჯონსონის ცნობილი „ინგლისური ენის ლექსიკონის“ გამოქვეყნების 250 წლისთავს (1755).**

სემიუელ ჯონსონი (1709-1784) გახლდათ თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი და XVIII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ლიტერატურული ფიგურა. მან თავისი ძალები გამოსცადა თითქმის ყველა ჟანრში. იყო პროზაიკოსიც, პოეტიც, დრამატურგიც, ბიოგრაფიც, კრიტიკოსიც, პუბლიცისტიც — და თითქმის ყველა დარგში წარმატებებს აღწევდა.

თანამედროვენი კი ჯონსონს იცნობდნენ, უწინარესად, როგორც „დიდ ლექსიკოგრაფს“. თვითონ სიამაყით ამბობდა: ცხრა წელიწადში შევასრულე ამოცანა, რომელზეც მრავალი ათწლეულის მანძილზე მთელი საფრანგეთის აკადემია შრომობდა.

ჯონსონის „ინგლისური ენის ლექსიკონი“ შეიცავს 40 ათასზე მეტ სიტყვას, რომელთა მნიშვნელობა განმარტებულია სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებებიდან აღებული უამრავი ლიტერატურული მაგალითით. ციტატების ძებნისას ჯონსონი სარგებლობდა საკუთარი ბიბლიოთეკით, ზოგჯერ მეგობრებსაც მიმართავდა.

თავდაპირველად ჯონსონი ამოცანად ისახავდა მოეწესრიგებინა ინგლისური ენა, რომელიც ძალიან მდიდრად მიაჩნდა, მაგრამ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ენა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც დღენიადაგ ევოლუციას განიცდის და ვერ მოათავსებ პროკრუსტეს სარეცელზე. „უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები ყოველ საათში იცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას და ამიტომ მათი განსაზღვრა ლექსიკონში მეტად ძნელია“... ეს აზრი ავტორმა გამოთქვა პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, ხოლო ნაშრომი 1755 წლის 15 აპრილს დაისტამბა.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვაშინგტონი სალომე ზურაბიშვილის გადაბირებას ცდილობს

პეტრე კრიმსკი, „როსიისკიე ვესტი“ (ყოველკვირეული, რუსეთი), 15-22 ნოემბერი.

РОССИЙСКИЕ ВЕСТИ

**საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის გადასვლამ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ოპოზიციაში საკმაოდ საინტერესო სიტუაცია შექმნა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში. აღსანიშნავია, რომ ამისთვის საწყისი წერტილი გახდა ზურაბიშვილის ვიზიტი შეერთებულ შტატებში.**

ვაშინგტონი უკვე კარგა ხანია ეძებს საქართველოში ახალ პერსპექტიულ ოპოზიციურ ლიდერს — იმ შემთხვევისთვის, თუ გადაწყვეტენ მიხეილ სააკაშვილის გაგზავნას „ისტორიის სანაგვეზე“. და, ალბათ, ასეთი კანდიდატურა უკვე იპოვეს კიდეც სალომე ზურაბიშვილის სახით. ამ ვერსიაზე ლაპარაკისგან თბილისში ამჟამად ცდილობენ თავი შეიკავონ, ითვალისწინებენ რა იმას, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ამერიკელთა დახმარებაზე. წინათ პარიზი ცდილობდა ამ ადამიანის დახმარებით დაებალანსებინა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი და დაეცვა იგი სრული ამერიკანიზაციისგან, რაც, რა თქმა უნდა, ვაშინგტონს დიდად არ ახარებდა. მაშინ, როცა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ განიხილავდნენ ერაყში ქართული საჯარისო კონტინგენტის განლაგების საკითხს, სალომე ზურაბიშვილმა გაუგზავნა დირექტივა შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს ამერიკის მხარესთან მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ. ქალბატონ ზურაბიშვილის ასეთი მოქმედება მთლიანად შეესაბამებოდა საფრანგეთის პოზიციას...

მაგრამ სადღეისოდ ოფიციალურ პარიზს თავისი პრობლემები უფრო აწუხებს — ქვეყანაში უკვე მესამე კვირაა გრძელდება უწესრიგობა. „ჰაერში გამოკიდებული“ რჩება ასევე ევროპის ინიციატივა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში ჯარების გაგზავნის შესახებ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ, როცა ზურაბიშვილს ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, არ შეინიშნებოდა საქართველოს რაიმე განსაკუთრებული დაახლოება ევროპასთან და მისი გეზი ამერიკისკენ არ შერყეულა. ახლა კი, ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადადგომისა და ოპოზიციის რიგებში გადასვლის შემდეგ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამდენადმე გაცივდეს ევროპის ურთიერთობა საქართველოს მიმართ, ყოველ შემთხვევაში, იმ ფრთის მხრიდან მაინც, რომელიც ერთგულობს საფრანგეთის პოზიციებს.

როგორც ცნობილია, სააკაშვილის გადაწყვეტილებას ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ვაშინგტონში დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. მაგრამ მეორე მხრივ კი, თუ ამერიკელთა მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდებოდა, პრეზიდენტი, ალბათ, თავს შეიკავებდა ასეთი ნაბიჯის გადადგმისგან. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ზურაბიშვილის გადასვლა ოპოზიციაში ფაქტობრივად დაგეგმა შეერთებულმა შტატებმა, რადგან, ასეთი სვლით გადაიჭრება ერთბაშად ორი პრობლემა: ჯერ ერთი, შესუსტდება ევროპის გავლენა საქართველოზე, და, მეორეც, სააკაშვილის სრული დისკრედიტაციის შემთხვევაში ვაშინგტონს ეყოლება კანდიდატურა მის შესაცვლელად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ლიდერი ქალის ფაქტორს ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობები თანამედროვე საქართველოში, რომლებიც, ალბათ, ამოწურული არ უნდა იყოს. სალომე ზურაბიშვილმა კი, როგორც საჯარო პოლიტიკოსის რანგში მისმა პირველმა გამოსვლებმა გვიჩვენეს, შეიძლება ჩინებულად გაართვას თავი ლიდერის როლს. აქ უპრიანია გავავლოთ გარკვეული პარალელი უკრაინაში იულია ტიმოშენკოს თანამდებობიდან გადაყენებისა და იუშჩენკოს ოპოზიციის რიგებში მის გადასვლას შორის. როგორც ცნობილია, ამერიკულ საიდუმლო დიპლომატიას უყვარს მოქმედება ანალოგიების მიხედვით — მაშ, რატომ არ შეიძლება გაიმეორონ „უკრაინის“ სცენარი საქართველოში, თუ იქნება შესაფერისი კანდიდატურა? გამოვა სრულიად ლოგიკური რამ: „ფერადი რევოლუციის“ „გაკოტრებული“ ლიდერი იძულებული იქნება დაუთმოს თავისი ადგილი „ჭეშმარიტ“ დემოკრატს — ქარიზმატული პოლიტიკოსი-ქალის სახით... და აქ ლოგიკურად იბადება ასეთი აზრი: თუ არ ექნებოდა გარკვეული გარანტიები, სალომე ზურაბიშვილი, ალბათ, არ დათანხმდებოდა ოპოზიციის ლიდერის უაღრესად სარისკო როლის შესრულებას (განსაკუთრებით — საქართველოს პირობებში). რატომ გაიღებდა იგი მსხვერპლად წარმატებული ფრანგი დიპლომატის კარიერას საქართველოში რაღაც გაურკვეველი მომავლის გამო?

ახლა ზურაბიშვილის პოლიტიკური მომავალი, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გუნდს შეკრებს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. როგორც თვითონ აღიარებს, მას არ ჰყოფნის პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მისი, როგორც საჯარო პოლიტიკოსის გზის დასაწყისი, ბრწყინვალე გამოდგა.

# დსთ-ს მშვიდობისმყოფლები დარჩებიან კონფლიქტის ზონაში

ირაკლი გელაშვილი, „როსიისკიე ვესტი“ (ყოველკვირეული, რუსეთი), 15-22 ნოემბერი).

РОССИЙСКИЕ ВЕСТИ

**აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ „აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველგვარ შეიარაღებულ სამშვიდობო ძალებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“. ბაღაფშის თქმით, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მთლიანად ასრულებენ შესაბამისი მანდატით დაკისრებულ მოვალეობას.**

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობს, თავისი საშინაო პრობლემები გადაჭრას ან პატარა „ძლევამოსილი ომის“ ან თუნდაც, დაკარგულ ტერიტორიებზე ნაწილობრივი კონტროლის აღდგენის გზით. ამ მიზნით ხორციელდება აქტიური პოლიტიკური ზონდირება დასავლეთში, გამოითქვა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის სამშვიდობო კონტინგენტის შეცვლის სხვადასხვა გეგმა და ვარიანტი. თბილისის აზრით, სხვებთან უფრო გაუადვილდება მორიგების მიღწევა იმის თაობაზე, რომ იუგოსლავური „პროექტის“ მიხედვით უზრუნველყოს „მშვიდობისადმი იძულების“ პოლიტიკა. თუმცა, საქართველოს ხელმძღვანელობაში ბევრი არ უფიქრდება ასეთ საკითხს: ალბათ, უკვე აღარ არის იმის შესაძლებლობა, რომ თანამედროვე პირობებში დავუბრუნდეთ სტალინ-ბერიას დროინდელ ტერიტორიულ საზღვრებს. თანაც, აფხაზეთის ამჟამინდელ ხელმძღვანელობაში რაიმე „კოზირის“ გათამაშების მცდელობაც უკვე აღარ არის პერსპექტიული. ამას მოწმობს თუნდაც სერგეი ბაღაფშის მიერ გაკეთებული ზემოაღნიშნული განცხადება. სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის ნებისმიერი შეცვლა, აფხაზური მხარის აზრის გათვალისწინების გარეშე, დაუშვებელია, აღნიშნა ბაღაფშმა. გარდა ამისა, აფხაზთა პრეზიდენტის თქმით, მოლაპარაკების პროცესში სხვა მხარეების ჩაბმაც ასევე შეუძლებელია, რადგან არსებობს ამ პროცესის წარმართვის შემუშავებული და 12 წლის განმავლობაში მოქმედი სქემა, რომელსაც აფხაზეთი არ გადაუხვევს.

ტერიტორიული საკითხების მოწესრიგებისთვის, ვარაუდობენ ანალიტიკოსები, საქართველომ ხელი უნდა აიღოს ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაზე: თუ საქმე ეხება დემოკრატიის პრინციპების ერთგულებას, მაშინ თბილისმა უნდა აღიაროს, რომ აფხაზეთის ხალხსაც აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ბედი. და რაც მალე მოხდება ეს, თბილისიც უფრო მალე შეძლებს ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ვაშინგტონი მოსკოვი არ არის. იგი, ალბათ, არ გაიუარესებს ურთიერთობას რუსეთთან ამჟამინდელი ამბიციური და უზარმაზარი კომპლექსებით შეპყრობილი საქართველოს გამო. ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდება. თუ „ტერიტორიული მთლიანობის“ შენარჩუნების საქმეში მთავარი დაბრკოლებაა სააკაშვილის და მისი გუნდის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, მას ამერიკელები უფრო ადვილად მოიშორებენ თავიდან, ვიდრე ჩაეფლობიან განუჭვრეტელი შედეგების მქონე კავკასიურ კონფლიქტში.

სხვა გაზეთიდან

## რომელ დიდ სახელმწიფოზე არიან ორიენტირებული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები და როგორია მათი ურთიერთობა რუსეთთან




„არგუმენტი ი ფაქტის“ ანალიტიკური ცენტრი.

ნდობა

# მეორე ვადით



**ბესიკ ლიპარტელიანმა შეინარჩუნა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი — გუშინ გამართულ სკფ-ს მორიგი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატებმა უალტერნატივო კანდიდატს, უახლოესი ოთხი წლის ვადით კიდევ ერთხელ გამოუცხადეს ნდობა.**

შეგახსენებთ, რომ ლევან მოსეშვილის ეპოქის თბილისის „დინამოს“ წევრმა მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ბედი სამწვრთნელო ასპარეზზე სცადა და წარმატებითაც — თბილისის „ვითასთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონობის რამდენიმეგზის მოპოვების შემდეგ იგი ეროვნულ ნაკრებსაც თავკაცობდა.

სკფ-ს სათავეში ყოფნისას ბესიკ ლიპარტელიანის სახელს უკავშირდება ფიბა-სთან ინტეგრირების პროცესის გააქტიურება და ნაკრებში უცხოელ მწვრთნელთა მოწვევის პრაქტიკის დამკვიდრება.

შეწყალება

# სამართალმა პური ჭამა

**გემახსოვრებათ, როგორი სკანდალი მოჰყვა საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდის ჩაუსვლელობას შვედეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართავად. მაშინ შეხვედრის ჩაშლის ოფიციალურ მიზეზად საფრანგეთის საელჩოს მიერ ჩვენი დელეგაციისთვის ვიზების დაგვიანებით გაცემა დასახელდა. ყოველივე ამას ფრენბურთის საერთაშორისო ასოციაციის მხრიდან მკაცრი სანქციები — დისკვალიფიკაცია და სოლიდური ფულადი ჯარიმა მოჰყვა.**

მაშინ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი საზოგადოებას დაპირდა, რომ ამ უსამართლო გადაწყვეტილებას არ შეეგუებოდა და ყველაფერს გააკეთებდა ჭეშმარიტების დასადგენად.

და აი, ხუთთვიანმა მცდელობამ შედეგი გამოიღო — დარწმუნდა რა ქართული მხარის უცოდველობაში, სპორტის აღნიშნული სახეობის საერთაშორისო ასოციაციამ ამ დღეებში „ჯვაროსან“ ქალბატონებს დისკვალიფიკაცია მოუხსნა. მართალია, ჯერჯერობით გაურკვეველია ფინანსური სასჯელის ბედი, მაგრამ, თუ საქმეს ლოგიკურად მივუდგებით, შეგვიძლია მისი გაუქმების ან, უკიდურეს შემთხვევაში, შემსუბუქების იმედი ვიქონიოთ.

სამართალმა ბოლომდე უნდა იზეიმოს!

**საკუთარი ინფორმაცია**

სპორტულ ორბიტაზე

## ოღონდ ტურინში გაიმარჯვონო

**საზოგადოებრიობის, პირველ რიგში კი ოლიმპიადებისთვის, უნივერსიადებისთვის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისთვის უკრაინელი სპორტსმენების მზადების საორგანიზაციო კომიტეტის მხარდაჭერა ჰპოვა უკრაინის ოჯახის, ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრის იური პავლენკოს გადაწყვეტილებამ ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე უკრაინელი სპორტსმენი პრიზიორების მატერიალური წახალისების სოციალური სტანდარტების თაობაზე.**

როგორც იქაური პრესა იუწყება, გადაწყვეტილია, ტურინში „ოქროსთვის“ უკრაინელმა სპორტსმენმა სახელმწიფოსგან უნდა მიიღოს 100 ათასი დოლარის ეკვივალენტური თანხა, ვერცხლის მედლისთვის — 70 ათასი, ხოლო ბრინჯაოსთვის — 50 ათასი.

## „უდაბნოს გამოწვევა“ — მოგებულია

**არაბთა გაერთიანებულ საემიროებში 9-დან 14 ნოემბრამდე მიმდინარეობდა 2005 წლის მსოფლიო თასის გათამაშება უგზო-უკვალო რალიში, მისი ხუთი ეტაპი თითქმის 2260 კილომეტრს გასწვდა.**



სატვირთო მანქანებს შორის საემიროების ქვიშნარში ზედიზედ მეშვიდედ გაიმარჯვა რუსულმა ეკიპაჟმა „Камаз 4811 EXTREME“, ამჯერად პილოტ ვლადიმერ ჩაგინის, შტურმან სტანისლავ კონოპკოსა და მექანიკოს ედუარდ ნიკოლაევის შემადგენლობით. „ვერცხლის“ მფლობელებიც კამაზელები გახდნენ გუნდის დებიუტანტის პილოტის რანგში სერგეი რეშტნიკოვის, აგრეთვე, საერთაშორისო რალის ასების — შტურმან აიდარ ბელიაევისა და მექანიკოს სერგეი სავოსტინის შემადგენლობით.

მესამე ადგილზე კი გამოვიდა ფრანგულ-იტალიური ეკიპაჟი „მერსედესით“ პიეტრო ფოგლიანის მეთაურობით.

## იბრაგიმოვიჩი — საუკეთესო

**ტრადიციულად წლის ბოლოს ასახელებენ ხოლმე წლის საუკეთესო სპორტსმენებს, მათ შორის ფეხბურთელებსაც.**

ვფიქრობთ, შვედეთმა ყველას დაასწრო და მიმავალი წლის საუკეთესო ფეხბურთელად უკვე დაასახელა ზლატან იბრაგიმოვიჩი, რომლის 16 გოლმა არსებითად გადაწყვიტა „იუვენტუსის“ იტალიის ჩემპიონად გახდომა.



იბრაგიმოვიჩმა ასევე გადამწყვეტი როლი შეასრულა შვედეთის ნაკრების მიერ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაში. მან ხომ შესარჩევი ტურნირის მატჩებში 8 ბურთი გაიტანა.

## ლამაზები, მდიდრები, ცნობილები და ახალგაზრდები

**ასე იცნობენ ქალთა გოლფის მოყვარულები ორ ქალიშვილს — ნატალი გალბისა და მიშელ ვის — ქერასა და შავგვრემანს, წმინდა სისხლიან კალიფორნიელსა და ნახევრად ჰავაიელს — ნახევრად კორეელს, გამოცდილ ლამაზმანსა და თითქმის ბავშვს.**

23 წლის ნატალი 7 წლით უფროსია მიშელზე. ნატალის, შესაძლოა, ყურადღებაც კი არ მიექცია თავისი ნორჩი, გამოუცდელი კოლეგისთვის, მაგრამ ისე მცირეა მეგოლფე-პროფესიონალების სამყარო, სპორტულ ენაზე proette-ს რომ ეძახიან. მეტოქეებს მაინც შეახვედრებდა.

ნატალიმ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გამოუშვა 2004 წლის ჩემპიონატის Us Womens Open წინ მოაწყო 2005 წლის თავისი სახელობითი კალენდრის პრეზენტაცია. ის სავსეა ლას ვეგასის მახლობლად ტბაზე საბანაო კოსტიუმებში გადაღებული ფოტოებით. გრძელფეხება, მაჰიპნოზირებელი, მწვანე თვალებიანი 180 სმ. სიმაღლის ნატალის ხომ ისეთი ფიზიკური მონაცემები აქვს, რისი არგამომზეურება დანაშაულიც კი იქნებოდა. თუმცა გოლფის ამერიკულმა ასოციაციამ ამერიკის მთავარ ტურნირებზე ამ კალენდრის გაყიდვა აკრძალა. ახლა მისი საიტი ნატალის 2006 წლის კალენდრის შეძენას გვთავაზობს.

186 სმ სიმაღლის მიშელ ვიმ **(ფოტო)** პროფესიონალის სტატუსი რამდენიმე კვირის წინათ მოიპოვა. მისი ერთ ერთი სამშვენისი საყურეებია, ყოველ ტურში რომ იცვლის. ახლახან მას მინიატიურული სათვალეც დაუმატა. მისი გადაწყვეტილებაა, თავისი დიდი შემოსავალი ახალ ორლეანში ქარიშხალ „კატრინის“ მსხვერპლთ მოახმაროს.



თაობა

# 15 წლისა - ოლიმპიურ ტურინში

**გაისად თებერვალში იტალიის ქალაქი ტურინი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. სპორტის ამ დიდ ფორუმზე საქართველოდან ოთხი ათლეტი იასპარეზებს. მათ შორისაა ფიგურულად მოციგურავე 15 წლის ელენე გედევანიშვილი, რომელმაც ეს უფლება ამას წინათ ვენაში გამართულ სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვა.**



— მამაჩემი მოთხილამურე გახლდათ, ამიტომ მშობლების სურვილი იყო, მეც სპორტის ამ სახეობას გავყოლოდი, — მითხრა ამას წინათ თბილისში ჩამოსულმა **ელენე გედევანიშვილმა.** — სრიალი რომ მესწავლა, 5 წლისა თბილისის საციგურაო სკოლაში მიმიყვანეს. იმდენად მომეწონა ციგურებზე დგომა, რომ, როგორც ხედავთ, დღემდე ყინულს შემოვრჩი.

**— თხილამურები?**

— მშობლებს არ დაუძალებიათ. სამაგიეროდ, ჩემი უმცროსი ძმა — დიმიტრი განაგრძობს მამას გზას. 13 წლისაა და უკვე ორჯერ გახდა მოსკოვის ჩემპიონი თანატოლებში.

**— როგორი გრძნობა დაგეუფლა, 15 წლის გოგონამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება რომ მოიპოვე?**

— ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე ხომ წლეულს სექტემბრიდან დამრთეს დიდებში გამოსვლის ნება და უცებ ოლიმპიური თამაშების საგზური დავიმსახურე.

— ელენესთვის წლევანდელი სეზონი მართლაც იღბლიანი გამოდგა, — ჩაერია საუბარში საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ირაკლი ჯაფარიძე.** — ბრატისლავაში ბრინჯაოს მედალი რომ აიღო, ბევრს შემთხვევითი წარმატება ეგონა, მაგრამ ელენემ ტალინში დაამტკიცა, რომ ძლიერი მოციგურავე გვეზრდება. მოკლე პროგრამის შემდეგ პირველ ადგილზე იყო — ურთულესი ელემენტები შეასრულა ისე სუფთად, რომ ბევრ წამყვან სპორტსმენს შეშურდებოდა. პროგრამაში ყველა სამმაგი ნახტომი და საკმაოდ რთული კომბინაციები აქვს, სწრაფადაც სრიალებს. ესტონეთის დედაქალაქში ნებისმიერი პროგრამითაც შეუდარებელი იყო და საბოლოოდ 0,75 ქულით გაუსწრო რუსეთის საუკეთესო ახალგაზრდა მოციგურავეს ვერონიკა კროპოტკინას.

ქართველმა გოგონამ ვენის სალიცენზიო ტურნირზეც გაგვახარა. ავსტრიის დედაქალაქში ოლიმპიადის ექვსი საგზურისთვის 23 სპორტსმენი აცხადებდა პრეტენზიას. პირველი დღის შემდეგ ელენე მეშვიდე იყო. მაგრამ ნებისმიერი პროგრამა უშეცდომოდ შეასრულა, მესამე ადგილზე გავიდა და ორი დღის ჯამში მე-4 ადგილთან ერთად ტურინის საგზურიც ხვდა. წარმატება უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, იმასაც გეტყვით, ფრანგი და ავსტრიელი ქალები ოლიმპიურ სარბიელს მიღმა აღმოჩნდნენ, არადა, ავსტრიის ფიგურული ციგურაობის ფედერაციას წარსულში სახელოვანი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი ბეატრის შუბა ხელმძღვანელობს.

ელენე გედევანიშვილი ნიჭიერი, შრომისმოყვარე გოგოა. მწვრთნელებმაც გაგვიმართლეს თამრიკო ანჯაფარიძე, მარინა სილიცკაია და ელენა ვოდორეზოვა — აი, ამ პედაგოგების დახმარებით შეძლო ელენემ გამარჯვების მოპოვება. განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო ვოდორეზოვა, რომელიც ორი წლის წინათ ცსკას მთავარ მწვრთნელად დააწინაურეს. სხვა შეგირდებთან ერთად მან გედევანიშვილიც თან წაიყვანა. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით ქართველი სპორტსმენი მომავალშიც მრავალ წარმატებას მიაღწევს.

**— ზამთრის თამაშებამდე დარჩენილ დროში ჩვენი ოლიმპიელი რომელ შეჯიბრებებში იასპარეზებს?**

— ახალგაზრდების გრან-პრის ფინალი 24 ნოემბერს გაიმართება ჩეხეთში. რვა საუკეთესო მონაწილეს შორის გედევანიშვილიც იქნება. გაისად 16-21 იანვარს იგი პირველად გამოვა ქალთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ლიონი (საფრანგეთი) უმასპინძლებს. ტურინში კი 21 და 23 თებერვალს გამოცდის ძალებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურს, რომლებიც ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ჩვენი სახეობისადმი, ფინანსურადაც გვეხმარებიან. მოწინავე სპორტსმენებს სტიპენდიებიც დაუნიშნეს. ზრუნვის პასუხად, ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ.

**— სხვა სიახლეებზე რას იტყვით?**

— ოლიმპიადის საგზური ვახტანგ მურვანიძემაც მოიპოვა და ისიც მონდომებით ემზადება ამ შეჯიბრებისთვის. 29 ნოემბერს ვენის საერთაშორისო ტურნირზე სპორტულ ცეკვებში დებიუტი ექნებათ ოთარ ჯაფარიძეს და ეკატერინა ზაიკინას, რომელმაც ამას წინათ ორმაგი მოქალაქეობა მიიღო. ოდინცოვოში მათ ალექსეი გორშკოვი ავარჯიშებს. მოსკოვში იმაღლებენ ოსტატობას ნორჩი მოციგურავეები — 10 წლის ნუცა ხუბულავა და მორის ყვითელაშვილი. ასე რომ, 2010 წლის ოლიმპიადისთვისაც დიდი ამბიციები გვექნება.

**ესაუბრა**

**ვაჟა დანელია**




**სურათზე: ელენა ვოდორეზოვა, ელენე გედევანიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე.**

### საძარბაზო ბარათი

*დაიბადა 1990 წლის 7 იანვარს თბილისში. ციგურაობა დაიწყო 5 წლისამ თამრიკო ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით. 2000 წლიდან მოსკოვში იმაღლებს ოსტატობას. ერთი წელიწადი მარინა სილიცკაია ამეცადინებდა, 2001 წლიდან კი სახელგანთქმული მოციგურავე ელენა ვოდორეზოვა ავარჯიშებს.*

*1999 წელს ერევნის საერთაშორისო ტურნირზე თანატოლებში პირველი ადგილი დაიკავა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია. 2002-2003 წლებში მოსკოვის ღია პირველობების გამარჯვებულია თანატოლთა შორის, 2003 წელს იუნიორებში ზაგრების გრან-პრიზე მე-7 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს დებიუტი ჰქონდა მსოფლიო პირველობაზე ახალგაზრდებს შორის, სადაც მე-12 ადგილით დაკმაყოფილდა, სამაგიეროდ, წლეულს ანალოგიურ შეჯიბრებაზე კანადაში შედეგი შვიდი საფეხურით გააუმჯობესა, თანაც ევროპელთაგან საუკეთესო გახლდათ.*

*სექტემბერში ცხრამეტწლამდელთა გრან-პრიზე, რომელსაც ბრატისლავამ უმასპინძლა, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო ორი კვირის შემდეგ ტალინში მსგავსი ასპარეზობა მოიგო. ოქტომბერში ვენის სალიცენზიო ტურნირზე მე-4 ადგილი დაიკავა და ტურინის ოლიმპიადის საგზურიც ერგო.*

ჭიდაობა

# თურქული ჰონორარი

**თურქეთის ჭიდაობის ფედერაცია შემოდგომაზე, სტამბოლის სპორტის სასახლეში ყოველწლიურად მართავს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებს ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობებში ახალგაზრდებს შორის.**



ახლახან იქ გაიმართა რიგით XI ასპარეზობანი, რომლებშიც 12 ქვეყნის 18-20 წლის 250-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა. ჩინებულად იასპარეზა საქართველოს თავისუფალი სტილის ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელები ნუგზარ სხირელი, ჯონი ლორია), რომლებმაც 5 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველ ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელი ლევან მეტრეველი (50 კგ), გორელი ვალერი დვალიშვილი (55 კგ), აფხაზეთის წარმომადგენელი მალხაზ ზარქუა (60 კგ), თბილისელები — ნიკოლოზ გაგნიძე (84 კგ) და დავით მოძმანაშვილი (96 კგ). ბრინჯაოს მედლები გადაეცათ სოხუმელ მიხეილ ზარქუას (66 კგ), გორელებს — ნიკო ტლაშაძეს (74 კგ), არჩილ ბარამიძეს (84 კგ) და ზაალ მარტიაშვილს (96 კგ). საერთო გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. მეორე ადგილზეა საქართველოს, ხოლო მესამეზე — ირანის ახალგაზრდული ნაკრები.

სტამბოლის ხალიჩაზე თავი არც ბერძნულ-რომაული სტილის ქართველმა ფალავნებმა შეირცხვინეს. ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი ოზურგეთელმა კახა მექვაბიშვილმა (60 კგ). ვერცხლის მედალი ერგო სოხუმელ დავით ქარჩავას (84 კგ). ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ თბილისელი ილია გულბათაშვილი (66 კგ) და ბათუმელი ზაზა შავაძე (74 კგ). გუნდურ ჩათვლაში ირანის ნაკრებმა აჯობა ყველას. მეორე ადგილი ხვდათ მასპინძლებს, მესამეზე აზერბაიჯანელი ახალგაზრდები გავიდნენ. საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი) 12 ქვეყნის ნაკრებს შორის IV ადგილი დაიკავა.

**შალვა ჩიხლაძე**

⊙ დამშვიდობება

## სიტყვა საქართველოს, აქ ცხოვრების სამი წლის შემდეგ შინ, თურქეთში დაბრუნების ჟამს



ვემშვიდობები: მარტოობის დროს ჩემს თავშესაფარ კუს ტბას; კუთხეში ლიმონისა და მზესუმზირის გამყიდველ, დაღლილ მოხუც ქალს; სუფრის მეფე თამადას; ქუჩაში გიტარაზე დამკვრელ მუსიკოსს; ზამთრის ღამეში სადარბაზოს კიბეზე ჩაძინებულ, ნაცნობ უპატრონო ბავშვს; ყოველ დილას გაღვიძებისას ფანჯრის წინ პირველად დანახულ და სუნთქვის საშუალების მომცემ ნაძვის ხეებს; ჩემს აივანზე ჩამომჯდარ მეგობარ მტრედებს; ხაჭაპურს; ხინკალს; მწვადს; ქუჩაში მძიმედ მოძრავ ტრამვაის; ყვავილების გამყიდველებს; შაბათის შოუს კომედიანტებს; ფუნიკულიორის პარკის სიმშვიდეს; ხაშურის გზაზე პურის გამყიდველ ქალებს; დილაობით ცხელი პურის გამყიდველ მეფურნეს; ზოოპარკის კარიკატურისტს; ჩემი სახლის გამძარცველ და მანქანის მომპარავ გაჭირვებულ ქურდებს; საქართველოს ღარიბ, მაგრამ გულით მდიდარ ადამიანებს და საქართველოს, რომლის წყალსაც ვსვამდი, ჰაერს ვსუნთქავდი და პურს ვჭამდი.

თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ! სამი სავსე წლის მანძილზე, ვინც მომსალმებია და არ მომსალმებია, ვინც გამიცვნია და არ გამიცვნია, ყველას მინდა მადლობა გადავუხადო.

კარგად იყავით!

M.Recep Arslanturk
E-mail: aslanturk61@hotmail.com
**რეჯეფ არსლანთურქი,**
**თურქეთის ელჩის მრჩეველი განათლების საკითხებში.**

⊙ მილოცვა

ქალბატონ **მერი გოგოლს** დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად, დიდ ენერგიას, რომ კვლავ ემსახუროს მადლიან საქმეს.

მოხუცთა პანსიონატ „სავანეს“ თანამშრომლები და მცხოვრებლები.

⊙ ანეკდოტები...

**კარგია** ყველგან, სადაც ჩვენ არა ვართ! კიდევ არ გჯერათ? მაშინ თქვენთან მოვდივართ!

* * *

**გსურთ** მტრების მოშორება? — ფული ასესხეთ!

* * *

— **გადააგდე** ყავარჯნები და წადი, — უთხრა ანატოლი კაშპიროვსკიმ გოგონას. მანაც გადააგდო ყავარჯნები და წავიდა...

— რით ავადმყოფობდა ის გოგონა?

— ყბაყურა ბატონებით.

— მაშინ ყავარჯნები რად უნდოდა?

— ბაბუამისთან მიჰქონდა.

* * *

— **ექიმო,** სიგარეტის მოწევა უნდა მივატოვო?

— სრულებითაც არა. უკვე დაგვიანებულია.

* * *

**ექიმთან** მიღებაზე გალეწილი მთვრალი ავადმყოფი შედის.

— ოო, სმის კიდევ ერთი მოყვარული მობრძანდა, — ჩაიბურდღუნა ექიმმა.



— აბიჟაეშ, ექიმო, პროფესიონალი ვარ!

* * *

**სვანმა** საბავშვო კონსტრუქტორი იყიდა და ძმაკაცს ეტრაბახება:

— ნახე, რა აწერია ამ სათამაშოს: ორიდან ოთხ წლამდეო. მე კი სულ რაღაც ორ თვეში ავაწყვე.

* * *

**სვანი** ეკლესიაში შედის.

— სანთლები აიღეთ, დაგჭირდებათ, — ეუბნება სანთლების გამყიდველი.

— რად მინდა თქვენი სანთლები, ფანარი მაქვს.

* * *

**საგადასახადო** ინსპექციის თანამშრომლის ბინაში ტელეფონი რეკავს. ყურმილს მოსამსახურე იღებს:

— ბინის პატრონი შინ არ არის. თქვენ ვინ ხართ?

— მისი მეგობარი ვარ.

— ალბათ ნომერი შეგეშალათ.

## დღის კალენდარი 15 ოქტომბრისთვის

☼ ამოდის 06.52, ჩადის 16.37
) ამოდის 17.17, ჩადის 08.27

**წლის 321-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 44 დღე.**

**დაიბადნენ**

**ჩვ. წ. აღ. 9 — ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე,** რომის იმპერატორი. გარდაიცვალა 79 წელს.

**1503 — აგნოლო ბრონზინო,** იტალიელი ფერმწერი, გარდაიცვალა 1572 წელს.

**1755 — ლუი XVIII,** საფრანგეთის მეფე. გარდაიცვალა 1824 წელს.

**1891 — გალაკტიონ ტაბიძე,** მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი. გარდაიცვალა 1959 წელს.

**1916 — ავგუსტ ვილჰელმ ამბროსი,** ავსტრიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1876 წელს.

**1926 — კოტე მახარაძე,** მსახიობი, გარდაიცვალა 2003 წელს.

**გარდაიცვალნენ**

**375 — ვალენტინ I,** რომის პაპი.

**1497 — ჯიოვანი მირანდოლა დელა პიკო,** იტალიელი ფილოსოფოსი.

**1558 — მარია I ტიუდორი,** ინგლისის დედოფალი.

**1917 — ოგიუსტ როდენი,** ფრანგი მოქანდაკე, გრაფიკოსი.

**მოვლენები**

**1558** — ინგლისის კათოლიკე დედოფლის მარია ტიუდორის დასჯის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი პროტესტანტი და — ელიზაბეტ I, მეფე ჰენრიხ VIII-სა და ანა ბოლეინის ქალიშვილი.

**1800** — აშშ-ს კონგრესი პირველად შეიკრიბა ვაშინგტონში.

**1855** — აფრიკის შოტლანდიელმა მკვლევარმა დევიდ ლივინგსტონმა ევროპელთაგან პირველმა დაინახა ჩანჩქერი მდინარე ზამბეზიზე, რომლის სიმაღლე 120 მეტრია. მან ჩანჩქერს დედოფალ ვიქტორიას სახელი უწოდა.

**1869** — გაიხსნა სუეცის არხი.

**1913** — პანამის არხში პირველი გემი გავიდა.

**1966** — დაფიქსირდა ყველაზე დიდი მეტეორული წვიმა.

**1988** — ბენაზირ ბჰუტო პაკისტანის პრემიერ-მინისტრი გახდა.

**1989** — პოლიციამ პრაღაში მშვიდობიანი დემონსტრაცია დაშალა. დაიწყო „ხავერდოვანი გადატრიალება“.

**ღირსსახსოვარი დღეები**

**სტუდენტთა საერთაშორისო დღე.**

**ზაირი — არმიის დღე.**

**აზერბაიჯანი — ეროვნული აღორძინების დღე.**

მედიანიუსი.

⊙ ლარის კურსი

**17 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1366 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7975 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1112 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0624 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3911 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3907 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5736 ლარი. |

⊙ სენსაცია

# ახალშობილ გოგონას გული ხელში ეჭირა



გადარჩენის იმედი ამგვარ ჩვილებს ახლახან გაუჩნდათ

**ინდოელი მეანი-გინეკოლოგები, რომელთა დახმარებითაც ამ ქვეყანას მოევლინა ეს ბავშვი, ახლა თავს სამართლიანად მიიჩნევენ „განსაკუთრებულ ადამიანებად“. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, დაიბადა ბავშვი, რომლის გულიც განლაგებული იყო არა ორგანიზმში, არამედ ...სხეულის გარეთ. გული შინაგან ორგანოებთან დაკავშირებული იყო ვენებით და არტერიებით, მაგრამ ბავშვის კისრის არეში მდებარეობდა. ახალშობილ გოგონას თავისი გული ხელში ეჭირა, თითქოს მისი დაკარგვის ეშინოდა...**

მედიცინაში ძალზე იშვიათია ასეთი პათოლოგიის შემთხვევები. ჩვეულებრივ, ახალშობილები იღუპებიან იმის გამო, რომ ინფექცია შეიჭრება დაუცველ გულში. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა მეთოდიკა, რომელიც მათ გადარჩენის შანსს აძლევს. ახალშობილის გულს ფარავენ სპეციალური აპკით, რომელიც ადამიანის კანს წააგავს. ამის შემდეგ კი მას აბრუნებენ თავის „კანონიერ“ ადგილზე. თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართება, ბავშვი იცოცხლებს.

ეს პათოლოგია ვითარდება ემბრიონის განვითარების მეოთხე კვირის დამლევისთვის. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს როგორც გენეტიკური დარღვევები, ისე ნაყოფის არასწორი განლაგება. პათოლოგიის აღმოჩენა შესაძლებელია ორსულობის მესამე თვეში, როცა კიდევ დასაშვებია აბორტის გაკეთება. აი, რატომ არის სასურველი, რომ ფეხმძიმე ქალმა გაიაროს ულტრაბგერითი შემოწმება.

ოჯახს, რომელსაც შეეძინა გოგონა, ასეთი გამოკვლევისთვის საჭირო ფული არ გააჩნდა. ახლა ბავშვის გადასარჩენად საჭიროა ათობით ათასი დოლარი. მთელ ინდოეთში დაიწყო შეწირულობათა შეგროვება ამ კეთილშობილური საქმისთვის.

КП

⊙ ვერნისაჟი

# ოსტატის და შეგირდების «შეჯიბრი»

**ფორმითა და შინაარსით გამორჩეული გამოფენა გაიხსნა 15 ნოემბერს თბილისის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში. საქართველოს სახალხო მხატვარი გოგი თოთიბაძე ვერნისაჟზე დამსწრეთა წინაშე საკუთარი ადრინდელი და მოწიფულობის ხანის დაზგური ფერწერის შესანიშნავი ტილოებით წარსდგა... თავისი მოწაფეების ნამუშევრებთან ერთად.**

— მოწაფეებთან ერთობლივი გამოფენის მოწყობის იდეა დაახლოებით სამი წლის წინათ გაგვიჩნდა, — განაცხადა ექსკლუზიურ ინტერვიუში გოგი თოთიბაძემ. — შემდეგ ამის თაობაზე სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მოვახსენეთ და სრული მხარდაჭერა ვპოვეთ. საგანგებოდ მინდა მოგახსენოთ, რომ



მსგავსი გამოფენა, სადაც მხოლოდ მასწავლებელი და მოწაფეები მონაწილეობენ, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, ჯერჯერობით არ გამართულა. ჩემი ღრმა რწმენით, მოწაფეებმა, უწინარესად, კარგად უნდა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს მათი პედაგოგის შემოქმედება პროფესიული თვალსაზრისით, ხოლო მასწავლებელი, თავის მხრივ, კარგად უნდა იყოს გარკვეული შეგირდების შესაძლებლობებში. ეს გამოფენაც სწორედ ამ იდეის რეალური ფრთაშესხმა გახლავთ.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ იდეამ აკადემიაში მოწონება დაიმსახურა. ამდენად, ვიმედოვნებ, რომ მომავალში მსგავს გამოფენებს ხელოვნების სხვა სპეციალობების შემოქმედებიც გამართავენ თავიანთ მოწაფეებთან ერთად.

გამოფენის დამთვალიერებელთათვის გოგი თოთიბაძის ცნობილ ნამუშევრებთან, მაგალითად, შოთა რუსთაველის, ვაჟა ფშაველას, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ ცერცვაძის, ივანე ბერიტაშვილის, ანა კალანდაძის, ცისანა ტატიშვილის, ნინო ანანიაშვილის და სხვათა პორტრეტებთან, პეიზაჟებთან, შიშველი ნატურის, საზღვარგარეთულ ჩანახატებთან ერთად, წარმოდგენილი იყო სახელოვანი მხატვარის მოწაფეების თეა ქუთათელაძის, ნინო მოსეშვილის, გია ბუღაძის, თამუნა იოსელიანის, კოტე თოთიბაძისა და სხვათა სხვადასხვა სტილის დაზგური ფერწერის ნამუშევრები.

გამოფენის გახსნისას სიტყვით გამოსულმა მხატვრებმა, აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ, გივი



თოიძემ, რადიშ თორდიამ, დემურ ბაშელეიშვილმა, არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ, კომპოზიტორმა ფელიქს ღლონტმა ერთსულოვნად აღნიშნეს გამოფენის გამართვის იდეის ორიგინალურობა, მისი მნიშვნელობა ახალგაზრდა და დამწყებ მხატვართათვის, ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ დაზგური ფერწერის კათედრა, რომელსაც ბატონი გოგი თოთიბაძე ხელმძღვანელობს. ყოველთვის გამოირჩეოდა შემოქმედებითი მისწრაფებების შეუზღუდაობით, რის ნათელი მაგალითია წარმოდგენილი ნამუშევრები.

**ოთარ ტურაბელიძე**

**სურათებზე: ნინო ანანიაშვილის პორტრეტი და „შემოდგომის ეტიუდი“.**

⊙ ფოლკპრემიერა

# 120 წ—ის... ახალ—გაზრდა!

**ლეგენდარულ თბილისში ლეგენდარული ფოლკ-შოუ დაბრუნდა... ის გრანდიოზული წარმოდგენა, რომლის პრემიერაც ამერიკაში შოკისმომგვრელი აღმოჩნდა... თავბრუდახვეული „New-York Times“ წერდა: „ჩვენ ვნახეთ დამანოკაუტებელი კონცერტები — „ლეგენდა თამარზე“...**

**განყენებული სივრციდან ქართველების ფურორი საფრანგეთშიც დიდხანს გაგრძელდა... პარიზის კონგრესის სასახლისა და ამნევილის გალაქსის საკონცერტო დარბაზებში „ერისიონის“ ასკეტური შემოქმედება რესპექტაბელურმა მაყურებელმა „სენსაციად“ ჩათვალა...**

**საკმაოდ მკაცრმა ფრანგულმა პრესამ კი ანსამბლის ტრიუმფალურ გამოსვლებს „თავსდამტყდარი გიჟური ტორნადო“ უწოდა, ხანდაზმული „Figaro“ ხმაურობდა: „ერისონის“ შოუმ გალაქტიკა გაანგრია... აქ არაფერია მოგონილი, „სვანურის“ დაწყებაზე დარბაზი გაიყინა...“ აკადემიურ სცენაზე ეგზოტიკური ქორეოგრაფიის გაცოცხლებამდე ხალხურობის ტემპერამენტული ნიმუში „შატილის ასულო“ ფრანგმა რეჟისორმა ტერი ერინესმა არნახულ ფოლკლორულ მუსიკალურ კლიპად აქცია, რომლის სპეც-ეფექტურობამ ჯერ MTV-ის მაყურებელი განაცვიფრა, შემდეგ კი ანსამბლის პრომოუშენის ფარგლებში პარიზის ქუჩებში გადაინაცვლა... „ერისიონის“ „შატილის ასულო“ MTV-ზე გასული პირველი ქართული ვიდეოკლიპია.**

— ამ კლიპმა განსაზღვრა ჩვენი წარმატება საფრანგეთში და შემდეგ ვოიაჟი მსოფლიოს ირგვლივ — 2007 წლამდე წინასწარ გაფორმებული კონტრაქტები. ეს ყოველივე ჩვენი ფრანგი სპონსორებისა და პროდიუსერების — ჯიმ ლოოს, პასკალ ჯორდანის, ჯერარდ ლოუვინის, დანიელ მონეს ინიციატივა



გახლდათ. ეს ვიდეოკლიპი იმდენად ქართულადაა შექმნილი, რომ უცხოელის ხელწერა არც კი ეტყობა. ვფიქრობ, ამ მხრივ ჩანს ის პროფესიონალიზმი და მშვენიერება, რაც ყველას განსაკუთრებით გვხიბლავს. — ამბობს ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ჯემალ ჭკუასელი.**

როცა ევროპასა და ამერიკაში „ერისიონის“ ფერწერულ შოუზე დასწრება ასოციაციურად ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრის ეიფორიას წააგავდა, მაშინ თბილისში ამ მითისა თუ რეალობის შესახებ ყველა ამაყად საუბრობდა და ყველა ამ არნახული სიამოვნების მიღებაზე ოცნებობდა... და, თურმე, შეიძლება ოცნება გადაიქცეს რეალობად — სევდიანი შემოდგომის მიწურულს ეს სიურპრიზი „ისტერნფრომოუშენისა“ და მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ერთობლივი გულუხვი საჩუქარია.

ასე რომ, 17-20 ნოემბერს დიდი საკონცერტო დარბაზი „... გიჟური ტორნადოს“ მოლოდინშია... თბილისურ ინტერიერში ეს არაკომერციული პროექტი იქნება, უფრო საქველმოქმედო საღამოების სერია, რომელიც სიმბოლურად ანსამბლის დაარსების 120 წლის იუბილეს ეძღვნება და კიდევ, მინისა და მინერალური წყლების კომპანიის 10 წლის ისტორიას უკავშირდება. ანუ, ქართულ რეალობაში ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა კოლოსალური ფინანსური მენეჯმენტით ცნობილი შოუ „ქართული ლეგენდა“ ქართულ სცენაზე გაიშლება...

— საქართველოში ამ კონცერტების გამართვა პროექტის დამუშავების დღიდან გვინდოდა, მაგრამ კომერციული თვალსაზრისით, აქამდე ეს ვერ განხორციელდა, — აღნიშნავს ჯემალ ჭკუასელი, — ფინანსურ პრობლემებს აპარატურის ტრანსპორტირების სირთულეებიც ემატებოდა... თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო ტექნიკური აღჭურვილობა 40 ტონა და 350 კუბამეტრი ტვირთია და ამას დაახლოებით სჭირდება 30-მეტრიანი 5 ტრიალერი. ახლა საბედნიეროდ, ეს პრობლემა მოხსნილია კარგად ცნობილი კომპანია „MS-Light“-ის დახმარებით, რომელიც შოუს ინტენსიურად უზრუნველყოფს ფერადი განათებით. საფრანგეთიდან „პროდაქშენის“ 12-კაციანმა ჯგუფმა ჩამოიტანა გახმოვანების უნიკალური სპეცაპარატურა — მიკროფონები...

**დღეს აკადემიურ სცენაზე „ერისიონის“ ლეგენდარული ტორნადოს პრემიერა შედგება... დიდ საკონცერტო დარბაზში ესთეტიკურ ფოლკ-შოუზე დასწრება 15-45 ლარი ეღირება... მოსკოვში, კრემლის დიდ საკონცერტო დარბაზში, „ისტერპრომოუშენის“ ორგანიზატორობით გამართული „ქართულ ლეგენდაზე“ მოხვედრა 50-250 დოლარად შეიძლებოდა. თბილისურ კონცერტებზე ამ თანხების შევსება მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ ითავა...**

**მზექა მახარაძე**

⊙ საეკლესიო კალენდარი

# წმინდანნი და მართალნი — იოანე, სტეფანე და ისაია ქართველნი

**17 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია იოანე, სტეფანე და ისაია — ქართველ მართლებს იხსენიებს.**

წმინდანთა დასში მართლად იწოდებიან ის ქრისტიანები, რომელთაც მთელი თავისი ამქვეყნიური ცხოვრება ღმერთის დიდებასა და ერის სამსახურში გალიეს.

მათი ცხოვრება თავის თავში იტევს ღირსი და ღმერთ-შემოსილი მამების, აღმსარებლებისა და მოწამეთა ღვაწლს.

საქართველოს ეკლესიაში გაბრწყინებულ წმინდათა შორის, სულ ოთხი წმინდანია მართლის წოდებითა და ღვაწლით კანონიზირებული. მათ შორის — ყველასათვის კარგად ცნობილი, ერის მამად და უგვირგვინო მეფედ წოდებული, ილია ჭავჭავაძე და დრო-ჟამისა და ჩვენი უდებების გამო დავიწყებული იოანე, სტეფანე და ისაია ქართველები.

ბიოგრაფიული ცნობები მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მათ ხსენებას საქართველოს სამოციქულო ეკლესია, უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც აღასრულებს.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დასახელებული წმინდანები, იერუსალიმში მოღვაწეობდნენ და ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები იყვნენ.

**მოამზადა გიული ლიპარტიამ**

⊙ მიმართვა

# დედაქალაქის არქიტექტურა განუკითხაობის მორევში

**არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (VIA) ნაციონალურ სექციას – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კოლეგიას**

პატივცემულო კოლეგებო!

ბოლო წლებში დედაქალაქში ქაოტურად წარმოებულმა მშენებლობამ, ქალაქმშენებლობის საერთაშორისო და ადგილობრივი კანონებით მიღებული ნორმების იგნორირებით თუ ბოლო დროს შემოღებულ გაუაზრებელ წესებზე დაყრდნობით, უკიდურეს ქალაქმშენებლობლით კრიზისამდე მიგვიყვანა.

ეს ვითარება არაერთხელ გაგვიანალიზებია კავშირის გამგეობის სხდომებზე და პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში... მაგრამ საქმის გამოსწორების ნაცვლად დედაქალაქის მესვეურები უფრო და უფრო ღრმად შედიან განუკითხაობის მორევში! პროფესიული საზოგადოების გვერდის ავლით, პროექტების კვალიფიციური განხილვა-შეფასების გარეშე იგეგმება გრანდიოზული ობიექტების მშენებლობები, რაც ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით გამოუსწორებელ შეცდომად მიგვაჩნია.

თბილისის არქიტექტურულ ცხოვრებაში დაგროვილი პრობლემები, სავალალო ხარვეზები და, რაც უმთავრესია, დარგისადმი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მრავალი მაგალითი დღის წესრიგში აყენებს არქიტექტორთა კავშირის საგანგებო პლენუმის გამართვას. საჭიროდ მიგვაჩნია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კოლეგიის უახლოეს სხდომაზე განვიხილოთ დასმული საკითხი და მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ პრობლემის განსჯაში.

**პატივისცემით, არქიტექტორთა კავშირის წევრები:**

**თამაზ თევზაძე, ნოდარ ქვათელაძე, თეიმურაზ ბოჭორიშვილი, მედეა მელქაძე, ქუჩი ჭუბაბრია, ილო ყავლაშვილი, ვალერი რცხილაძე, გიული გეგელია, თამაზ გიორგაძე, გივი მეტრეველი, ვაჟა გელაშვილი და სხვა, სულ 50 ხელმოწერა.**

**რედაქციისაგან: ბოლო ხანს, როგორც არქიტექტორებს მიაჩნიათ, დედაქალაქის სამოხელეო სტრუქტურამ არქიტექტურა, როგორც დარგი, გააუქმა. თბილისის არქიტექტურაზე ძალადობა გრძელდება. ჩვენი გაზეთი სისტემატურად წერდა და წერს ქალაქმშენებლობის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე. როგორც საქართველოს არქიტექტორთა კავშირში გვითხრეს მალე (დეკემბერში) გაიმართება ქართველ ხუროთმოძღვართა საგანგებო პლენუმი, რომელიც საზოგადოების წარმომადგენლებთან, ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად დედაქალაქის არქიტექტურაში შექმნილ უმძიმეს ვითარებას განიხილავს.**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ კვლავაც მხარში დაუდგება ჯანსაღ პროფესიულ თვალთახედვას და ფართოდ გააშუქებს მიმდინარე პროცესებს.**

## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია




საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-კონსულტანტი, ისტორიის მეცნირებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის წყაროების კომისია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი

ვლადიმერ ლუკიანეს ძე ჟანტურია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იოსებ ხარატიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს დავით და გია გიგიტაშვილებს დედის

მერი საგინაშვილი-გიგიტაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.